გაზეთი ზევრისა, „ვერსიისა" ერთი

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№55 (950) 28 – 29 მაისი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

რა შეღავათებით სარგებლობენ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები

რა სარგებელს მიიღებს გლეხების გაერთიანება და როგორ დაეხმარება სახელმწიფო

ინფორმაცია მიიღეთ ვებგვერდზე: www.acda.gov.ge

გვ.7

ლევან ვასაძე პოლიტიკაში საპატრიარქოს მხარდაჭერით მოდის

გვ.3

დიდი გადანაწილება ქართულ პოლიტიკაში

შექმნის თუ არა პარტიას ნიკა რურუა და ვის დაუჭერენ მხარს მარგველაშვილი და ალასანია

ზურაბ ჭიაბერაშვილზე თავდასხმის დეტალები

გვ.2

ადვოკატები ადვოკატების წინააღმდეგ!

გადააყენებენ თუ არა ზაზა ხაციაშვილს და სისხლის სამართლის რა დანაშაულზე საუბრობს ასოციაციის თავმჯდომარე

რატომ შეუქმნეს პრობლემები „მედგრუპ ჯორჯიას" და ლობირებს თუ არა ხელისუფლება დამოუკიდებელ ექსპერტს თემურ ფეიქრიშვილს

გვ.2

მაია მიშელაძე
593-51-90-12

„მიჩუმათების პოლიტიკა თვალსაჩინოა“

რატომ შეუქმნეს პრობლემები „მედგრუპ ჯორჯიას“ და ღობირებს თუ არა ხელისუფლება დამოუკიდებელ დეპუტატ თემურ ფეიქრიშვილს



დავა, რომელიც შპს „მედგრუპ ჯორჯიასა“ და „წავკისელ ფეოდალებს“ შორის მიმდინარეობს, ახალ ფაზაში შედის. კომპანიას პეტერბურგში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენი, თამაზ მჭედლიძე ხელმძღვანელობს, რომელიც დაბა წავკისში გამაჯანსაღებელ „ველნესის“ ტიპის ცენტრს აშენებს. „წავკისელი ფეოდალები“, მათ შორის, პარლამენტის წევრი თემურ (გიორგი) ფეიქრიშვილი და შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილი მაღალჩინოსანი ვაჟა ლელუაშვილი ბიზნესმენს ხელს უშლიან. 25 000 000 აშშ დოლარის ინვესტიცია, რომლის განხორციელებასაც თამაზ მჭედლიძე საქართველოში აპირებს, საფრთხის ქვეშ დგას, რადგან გამორიცხული არაა, ინვესტორმა ქვეყანა დატოვოს. რა ვითარებაში აღმოჩნდნენ ბიზნესმენები საქართველოში ხელისუფლების შეცვლის შემდეგ? „ვერსიას“ დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის პრეზიდენტი სოსო ცისკარიშვილი ესაუბრება.

— ბატონო სოსო, 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ბიზნესი ხელისუფლების წნეხისგან გათავისუფლდა?

— ძველებურად, ბიზნესის „ჯანმრთელობას“ კანონმდებლობა კი არა, ხელისუფლება განსაზღვრავს. ხელისუფლების ნებისმიერი ცვლილების დროს, სხვადასხვა დაპირებას ვისმენთ. უპირველესად, მცირე და საშუალო ბიზნესის აღორძინებასთან დაკავშირებით. ხელისუფლება იცვლება, მაგრამ ამ საკითხს ძვრა არ აქვს. ვგულისხმობ აუცილებლობას, საკანონმდებლო უპირატესობა მკაფიოდ დაფიქსირდეს, ხოლო ის, რაც უკვე არსებობს და მიმზიდველია — აღსრულდეს. პრობლემა ის კი არ არის, ბიზნესის ხელშეწყობის სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზა არ გვაქვს, არამედ ის, რაც საბჭოთა პერიოდის გადმონაშთია. დღეს ბიზნესის ხელშეწყობის პირობები უფრო ოპტიმისტურია, მაგრამ თავად ბიზნესმენებისთვის მეტი მოტივაცია უნდა შეიქმნას. დიახ, ბიზნესი თავისუფალია, ნებისმიერს შეუძლია ნიჭის გამოვლენა, იაფი სესხების პროგრამა რეალობაა და სოფლის მეურნეობაში უნიკალური ვითარებაც შეიქმნა. მეწარმეებს საკმაოდ შეღავათიანი პროცენტით შეუძლიათ ბანკებიდან სესხის მიღება, რაც უშუალოდ ბანკისთვის ზარალი არ არის. კომერციულ ბანკებს კერძო პირი უზღვევს რისკებს და ესეც ქართული რეალობაა, რადგან სხვა ქვეყანაში ძნელად თუ მოიძებნება ისეთი ხელგაშლილი მილიარდერი, რომელიც ბანკებს საკუთარ მოგებას დაუკარგავად სთავაზობს. თუმცა ეს ისეთი ტიპის გამონაკლისია, რომელიც ბიზნესის განვითარების მდგრად ამინდს ვერ ქმნის. შესაბამისად, სრულიად მკაფიო, საკანონმდებლო საფუძველზე დაფუძნებული ქმედებაა საჭირო, რომლის სამართლიანობის გადამოწმებას ნებისმიერი მოქალაქე შეძლებს.

— სოფლის მეურნეობაში მეწარმეების ხელშეწყობის პროგრამები კი მოქმედებს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ბიზნესის რომელ დარგს უჭირს ყველაზე მეტად?

— ერთი და იგივე უსამართლობის განცდაა. სამართლიანობის აღდგენა პროკურატურის პრეროგატივა არ უნდა იყოს, რომელიც თავად გადაწყვეტს, რომელი საქმე განიხილოს და რომელი — არა. კანონმა უნდა განსაზღვროს და პროკურატურას ასეთი შერჩევითი სამართლის უფლება ჩამოართვას. თუ არსებობს მტკიცებულებები, რომ კონკრეტულ ბიზნესს ან ბიზნესმენს უსამართლოდ მოექცნენ, ასეთი საკითხების გამოუძიებლობისთვის პასუხი კონკრეტულ პროკურორებს უნდა მოეთხოვოს. თავად პროკურატურას უნდა ჰქონდეს სპეციალური განყოფილება, რომელიც დაზარალებული ბიზნესის თავისებურებებს შეისწავლის და საქმეს სასამართლომდე მიიყვანს, თუმცა, სხვადასხვა საკითხზე, თუნდაც „კავკასუს ონლაინთან“ დაკავშირებით, საზოგადოების აღშფოთების მიუხედავად, პროკურატურის სიმშვიდე თვალშისაცემია. ასეთი მაგალითი ძალიან ბევრია და, ვიდრე სამართლიანობის აღდგენის მაგალითებს დავამკვიდრებთ, რასაკვირველია, იმ პირების ინდივიდუალური პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს, რომლებსაც ამ პრობლემის მოგვარება ევალებათ. საზოგადოებამ უნდა იცოდეს ვინაობა, ვინც საზოგადოებრივ აზრს აბუჩად იგდებს, ხელისუფლების მიმართ ნდობას ანადგურებს და დაზარალებულ ბიზნესმენებს გაუგებარ რეჟიმში ამყოფებს, თორემ ბევრი ლოზუნგი მოგვისმენია — ლოზუნგი კი, შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის გარეშე ვერ რეალიზდება.

— ადვოკატი დიმიტრი გაბუნია ეჭვობს, თემურ ფეიქრიშვილს, რომელმაც არჩევნებში ნაციონალების სახელით გაიმარჯვა, მაგრამ დღეს დამოუკიდებელი დეპუტატია, ხელისუფლება მხარს უჭერს. თქვენი აზრით, „მედგრუპ ჯორჯიას“ პრობლემები ამის გამო შეექმნა?

— ეს კონკრეტული შემთხვევა დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბმაც შეისწავლა. ჩვენთვის უკვე ცნობილია, რა დონის გავლენა აქვს თემურ ფეიქრიშვილსა და შინაგან საქმეთა ყოფილ მაღალჩინოსან ვაჟა ლელუაშვილს. ისინი გარდაბნის რაიონში უზარმაზარ ბერკეტებს ფლობენ. მათ მიმართ სხვადასხვა ხელისუფლების (როგორც ნაციონალური მოძრაობის, ასევე „ქართული ოცნების“) ლოიალობა გაუგებარია. სირცხვილია, წლები გადის და ხელისუფლებათა ცვლის მიუხედავად, მიჩუმათების პოლიტიკა თვალსაჩინოა. „წავკისელი ფეოდალების“ საქმე ერთადერთი შემთხვევა არ არის. მიუღებელია, ანტიმონოპოლიური ქმედების მიუხედავად, ხელისუფლება სახელმწიფო მონოპოლიების აღდგენას ცდილობს. კონკრეტულად, „საქართველოს ფოსტას“ ვგულისხმობ, რომელსაც წარმომადგენლობა არც ერთ ქვეყანაში არ გააჩნია, მაგრამ პრეტენზია აქვს, ამ ბაზრიდან მრავალწლიანი მოთამაშეები — DHL, TNT და 40-მდე კომპანია განდევნოს. როცა ასეთ წარმატებულ კომპანიებს ბაზრიდან აძევებენ, არც ის გამიკვირდება, რომ ხელისუფლებამ „საქართველოს ფოსტას“ დავით კეზერაშვილის სახელიც კი მიანიჭოს.

— როგორ გგონიათ, უკრაინაში განვითარებული მოვლენები რა გავლენას მოახდენს საქართველოს ბიზნესმდგომარეობაზე?

— უკრაინის ახალი ხელისუფლება რადიკალურ ცვლილებებს არ განახორციელებს — ამ ქვეყანას იმდენი სატკივარი დაუგროვდა, რამდენიმე თვეში, შესაძლოა, ორმხრივ სავაჭრო ურთიერთობებზე ვერ კონცენტრირდნენ. ცხადია, საქართველოსთვის უკრაინის ბაზარი უაღრესად მნიშვნელოვანია და უკეთესი იქნებოდა, უკრაინის ახალ პრეზიდენტს, ქართული წარმოშობის პოლიტიკური მრჩევლების ნაცვლად, აქცენტი სწორედ ბიზნესურთიერთობებზე გადაეტანა, თუმცა ყველაფერს თავის დრო აქვს და დარწმუნებული ვარ, ქართულ-უკრაინულ ეკონომიკურ კავშირს სერიოზული პერსპექტივა ექნება.

— პოროშენკოს მრჩევლად, საქართველოს ეკონომიკის ექსმინისტრი, კახა ბენდუქიძეც შეიძლება დაინიშნოს. როგორ აფასებთ ამ ფაქტს?

— ჩემთვის ეს ანეკდოტის თემაა, რადგან საქართველოში უკვე დავრწმუნდით, რა განსხვავება იყო მსოფლიო ეკონომიკასა და „ბენდუნომიკას“ შორის. ამ „გამოცდილებას“ უთუოდ გავაცნობთ უკრაინის ახალ ხელისუფლებას, ასევე — მათ დიპლომატიურ სტრუქტურებს საქართველოში. ჩვენი ვალია, ისედაც უამრავი სატკივრის მქონე უკრაინას, მათი ეკონომიკის სინგაპურიზაციის შავ-ბნელი პერსპექტივა მოვუხსნათ.

ზურაბ ჭიაბერაშვილზე თავდასხმის დეტალები

რა პრეტენზია ჰქონდათ ნაციონალთან თავდამსხმელებს და რა გაუმხიდა „ვერსიას“ რეზო თაბუკაშვილის დედამ

ერუსუდან შელია
557-100-768

სადმე იმალება. იმედი მაქვს, დამატებით ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტროდან შევიტყობთ“.

27 მაისს, დაახლოებით 13:00 საათზე, აბაშიძის №22-ში, ლიტერატურულ კაფეში, რეზო თაბუკაშვილი უმცროსი და რეჟისორი გიორგი მგელაძე ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერ ზურაბ ჭიაბერაშვილსა და ილიას უნივერსიტეტის ლექტორ ნოდარ ლადარიას თავს დაესხნენ. მათთან ერთად ექსპერტი თორნიკე შარაშენიძეც იმყოფებოდა. როგორც დაზარალებული **ზურაბ ჭიაბერაშვილი** იხსენებს, ინციდენტამდე შელაპარაკება მომხდარა, რეზო თაბუკაშვილმა მდუღარე ჩაი ჯერ ნოდარ ლადარიას შეასხა სახეში, მოგვიანებით კი, იგივე ჭიქა ნაციონალური მოძრაობის წევრს თავის არეში სამჯერ ჩაარტყა: **„ლიტერატურულ კაფეში ნოდარ ლადარიასთან ერთად შევედი, სადაც ჩვენი საერთო მეგობარი თორნიკე შარაშენიძე გველოდებოდა. დაახლოებით, 10-15 წუთის შემდეგ, შენობაში რეზო თაბუკაშვილი და გიორგი მგელაძე შემოვიდნენ. მოულოდნელად, რეზო თაბუკაშვილმა, რომელსაც ხელში ჩაის ფინჯანი ეჭირა, მდუღარე ჩაი ნოდარს სახეში შეასხა, შემდეგ კი იგივე ჭიქა ისე, ადგომა ვერ მოვასწარი, თავში ორჯერ ჩამარტყა. როცა წამოვდექი, ჭიქა მესამედ, უკვე თავსა და საფეთქელს შორის ჩამარტყა. ერთადერთი, გვითხრეს — როგორ ბედავთ ქუჩაში სიარულს, როგორ შემოდიხართ საერთოდ აქ, გაეთრიეთ აქედანო და გაიქცნენ“.**

თავდასხმის მიზეზებს ვერც ნოდარ ლადარია ასახელებს: **„ამ ადამიანების ვინაობა არაფერს მეუბნება, რადგან მსგავსი ყაიდის ხალხთან ურთიერთობა არ მაქვს. თავდასხმას კი საერთოდ არაფერს ვუკავშირებ. ეს, უბრალოდ, სრულიად თავხედური და მოულოდნელი თავდასხმა იყო“.**

ინციდენტიდან მალევე, ლიტერატურულ კაფესთან სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადა გამოჩნდა, რომელმაც დაზარალებულებს პირველადი დახმარება აღმოუჩინა. მოგვიანებით, ზურაბ ჭიაბერაშვილი რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს საიდანაც მალევე გამოწერეს.

„ვერსია“ რეზო თაბუკაშვილსა და გიორგი მგელაძესთან დაკავშირებას ცდილობდა, თუმცა ორივეს მობილური ტელეფონი გამორთული აქვს. სახლის ტელეფონზე რეზო თაბუკაშვილის დედამ გვიპასუხა და გაგვიმხილა, მომხდარის შესახებ მხოლოდ სოციალური ქსელიდან შევიტყვეთო: **„ნაციონალური მოძრაობის წევრებზე თავდასხმის შესახებ არაფერი ვიცი, მეც Facebook-ით შევიტყვე... ჩემ შვილს რამდენიმე საათია ვეძებ, მაგრამ მობილური ტელეფონი გამორთული აქვს, ვერ ვუკავშირდები. ისიც არ ვიცი, დაკავებულია თუ**

რეზო თაბუკაშვილი და გიორგი მგელაძე, ჯერჯერობით, დაკავებულნი არ არიან, თუმცა შინაგან საქმეთა სამინისტრომ ზურაბ ჭიაბერაშვილსა და ნოდარ ლადარიაზე თავდასხმის ფაქტზე გამოძიება დაიწყო. უწყების ოფიციალური განცხადებით, საგამოძიებო მოქმედებები სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქ დაზიანებას გულისხმობს.

აბაშიძის №22-ში მომხდარი ინციდენტი უმრავლესობის წარმომადგენლებმაც შეაფასეს. საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი **მანანა კობახიძე** არ გამორიცხავს, რომ ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა რეზო თაბუკაშვილს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა: **„შემთხვევის ადგილზე რა მოხდა, არავინ იცის. თუმცა, თავისთავად, ცუდი ფაქტია. სამართლიანობა ხალხმა არ უნდა აღადგინოს. თუ ზურა ჭიაბერაშვილმა კონკრეტული დანაშაული ჩაიდინა, სასამართლომ განაჩენი გამოიტანა და პასუხიც სწორედ ეს განაჩენია. თავდასხმის მოტივი რა იყო და კონკრეტულად რა მოხდა, ამის შესახებ კომენტარს ვერ გავაკეთებ, თუმცა, შესაძლოა, ინციდენტამდე რაღაც შელაპარაკება იყო და თავდასხმას გარკვეული წინაპირობა ჰქონდა. ეს სამართალდამცავებმა უნდა დაადგინონ! ვიმეორებ, ფაქტი მართლაც უსიამოვნოა. ნაციონალურ მოძრაობას კიდევ ერთხელ მისცემს იმის საბაბს, რომ იყვირონ — აი, პოლიტიკური ნიშნით გვდევნიანო. იქნებ ჭიაბერაშვილმა დედა შეაგინა, მე რა ვიცი...“**

რეზო თაბუკაშვილის მამის, **ლაშა თაბუკაშვილის** განცხადებით, მისი შვილი აპირებს, პოლიციას ჩაბარდეს: **„ჩემი შვილის საქციელს გამართლება არ აქვს, როგორც უნდა ყოფილიყო გაღიზიანებული, რაც გააკეთა, იმაზე პასუხი უნდა აგოს და ასეც მოხდება. გია მგელაძე არაფერ შუაშია, ის უბრალოდ გარეთ იჯდა. არც უნახავს, შიგნით რა მოხდა, მერე შევიდა“.**

ლევან ვასაძე პოლიტიკაში საპატრიარქოს მხარდაჭერით მოდის

დიდი გადანაწილება ქართულ პოლიტიკაში — შექმნის თუ არა პარტიას ნიკა რურუა და ვის დაუჭერენ მხარს მარგველაშვილი და აღასანია

ეკა სეხნიაშვილი

პროგნოზები უმადური საქმეა, მით უმეტეს, ქართულ პოლიტიკაში, როცა პიარტექნოლოგიებში გამობრძმედილი ნაციონალებისგან ათას სიურპრიზს უნდა ელოდე და პოლიტრუკაზეც კოალიცია „ქართული ოცნება“ არსებობს, გამაერთიანებელი X-(იქს)ფაქტორით — ბიძინა ივანიშვილით.

პოლიტიკურ კულუარებში, სადაც დიდი თამაშის წესები დგინდება, ინტენსიურად დაიწყო საუბარი ახალი პოლიტპარტიების შექმნასა და პოლიტგაერთიანებაზე. ბუნებრივია, ეს გრძელ დისტანციაზე გათვლილი სქემებია და მზადება მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ დაიწყება, თუმცა ნაციონალური მოძრაობაცა და „ქართული ოცნებაც“ სამომავლოდ დიდი გადანაწილებისთვის ემზადება, რადგან ორივე მხარეს შესანიშნავად ესმის, რომ მომავალი საპარლამენტო არჩევნებისთვის ამგვარი შიდადაპირისპირებების ფონზე პოლიტიკური არსებობა საკმაოდ გაუჭირდებათ. არ არის გამორიცხული, სწორედ ამით ისარგებლოს მესამე ძალამ, რომელსაც ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღების გამო გამწარებული ლევან ვასაძის სახელი დაერქმევა, ხოლო ხელისუფლებაში საქართველოს საპატრიარქოს იმ ფრთის მხარდაჭერით მოვა, რომელიც ჯერ კიდევ კომუნისტებისდროიდან მოყოლებული რუსული სპეცსამსახურის საყრდენად ითვლება საქართველოში. მაინც რა პროცესები შეინიშნება პოლიტიკურ კულუარებში და რამდენად შესაძლებელია მოვლენების დღევანდელი სცენარით განვითარება.

წინასწარი ინფორმაციით, შემოდგომისთვის ნაციონალურ მოძრაობას ბევრი დატოვებს და „ქართული ოცნების“ პარტიული რიგებიც შეთხელდება. მათ შორის ისეთებიც იქნებიან, კოალიციის პოლიტიკურ სახედ რომ ითვლება. ამ კონტექსტში უკვე კარგა ხანია ერთ-ერთ მთავარ ფიგურანტად განიხილება ირაკლი ალასანია, რომელსაც, მართალია, 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, პარტიული სტრუქტურები თითქმის აღარ შერჩა, მაგრამ, თუკი წარსულს გადავხედავთ, ყოველთვის კოალიციის წევრი სხვა პარტიების ხარჯზე პარაზიტობდა. თუკი მოვლენები ამ კულუარული ვერსიის შესაბამისად განვითარდა, ნაციონალური მოძრაობის ახალ შტოსთან კავშირი და დიდი პროდასავლური გაერთიანების ლიდერობა

გიგა ბოკერია და გიორგი მარგველაშვილი

მისთვის საკმაოდ კომფორტული იქნება. ფაქტი ფაქტად რჩება — ალასანიას დასავლეთში დიდი მხარდაჭერა აქვს, მისი მაღალი რეიტინგი ნავაროს კვლევებში, მისი ქარიზმა და კონტაქტები ნაცებთან, კოალიციაში უკვე ბევრს აღიზიანებს, ალასანიას კი დამოუკიდებელი პოლიტიკური კომბინაციების შანსს უჩენს. სხვა საკითხია, რა პოზიციას დაიკავებენ ყოფილი თანაპარტიელები, რომლებიც აღმასრულებელ ხელისუფლებაში საკმაოდ კომფორტულად გრძნობენ თავს. სახელისუფლო პარტიაში ასევე აღიზიანებთ მარგველაშვილი-ალასანიას მეგობრობა, რომელსაც გიგა ბოკერიას მეგობრული კამპანიაც ემატება და, არ არის გამორიცხული, სწორედ ამგვარი კონფიგურაციით ვიხილოთ ახალი პარტია, რომელიც ნიკა რურუას საზოგადოებრივი მოძრაობა „ივერიის“ ბაზაზე აღმოცენდება. როდის მოხდება ეს, ჯერჯერობით ოფიციალურად ვერავინ გვიდასტურებს, მაგრამ პირად საუბრებში არ მალავენ, რომ ეს პროცესი გარდაუვალია და ისიც უკვე გადაწყვეტილია, ვინ იქნებიან ავანგარდში: ყოფილი მინისტრი ნიკა ვაჩეიშვილი, ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე, ყოფილი მინისტრის მოადგილე ნინო კალანდაძე, დიპლომატები — მამუკა კუდავა, ნიკოლოზ ვაშაკიძე, ბათუ ქუთელია, კახა ლომაია და კიდევ რამდენიმე პერსონა...

მართალია, ვარდების რევოლუციის შემდგომ ნიკა რურუა პოლიტიკაში ნაციონალებთან ერთად მოვიდა, მაგრამ, მოგვიანებით, ნაცელიტასთან დისტანცირების პოლიტიკა აირჩია და ამბობენ, რომ 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, საკმაოდ ხისტი პოზიცია დაიჭირა ყოფილი თანაგუნდელების მიმართ. სხვათაშორის, ნიკა რურუამ ისინი ახალი მოძრაობის პრეზენტაციაზე არათუ არც კი დაპატიჟა, რამდენიმე ნაციონალს, მათ შორის ჩიორა თაქთაქიშვილს, იქ გამოჩენისგან თავის შეკავებაც კი ურჩია. როგორც ამბობენ, ჩიორა ნაცების გარკვეული შტოს შუამავალი იყო, მაგრამ მოლაპარაკებაზე ცივი უარი მიიღეს. ნიკა რურუა საკმაოდ გონიერი ადამიანია საიმისოდ, რომ ობიექტურად შეაფასოს ნაციონალური მოძრაობის ზოგიერთი ლიდერის მიმართ საზოგადოების განწყობა, როგორც ჩანს, ამიტომაც გადაწყვიტა ახალი მოძრაობის ჩამოყალიბება. იგი შეეცდება, ანგარიშგასაწევი ოპოზიციური გუნდი შექმნას და მხოლოდ ერთი პარტია აღარ იყოს ამ მხრივ დომინანტი. მართალია, სამომავლოდ საგარეო პოლიტიკურ ორიენტირებში ის ნაცებთან თვისობრივად ახლოს იქნება, მაგრამ დამოუკიდებელ შიდაპარტიულ თამაშს ითამაშებს და, შესაბამისად, არც მათ ცოდვებზე მოსთხოვენ პასუხს.

ამ ფონზე, ყველაზე მძიმე არჩევანის გაკეთება გიორგი მარგველაშვილს მოუწევს, რომელსაც „ქართულ ოცნებაში“ ამრეზით უყურებენ და, ფაქტობრივად, პროცესებზე ვერანაირ გავლენას ვერ ახდენს. პოზიციურად გიგა ბოკერიას, ირაკლი ალასანიას, დავით ბაქრაძის, ნიკა რურუას და ლევან ვასაძის თანამოაზრე უფროა, ვიდრე იმ გუნდისა, ვინც ამ პოსტზე მოიყვანა... მართალია, ანტიდისკრიმინაციულ კანონზე ვეტოს დადება ვერ გაბედა და ხელი მოაწერა, მაგრამ ამაყად განაცხადა — ამ საკითხში ლევან ვასაძეს არ ვეთანხმები, ჩვენთან დემოკრატიაა და მერე რა მოხდა, თუ ჩემი მეგობარიაო. საინტერესო კი ისაა, რომ თავად რაინდმა ლევანმა სრულიად პარლამენტსა და საზოგადოების იმ ნაწილს, ვინც ამ კანონს მხარი დაუჭირა, სულ მოღალატეები და ქვეყნის მტრები ეძახა, ერთი სიტყვაც კი არ დასცდენია საკუთარ მეგობრებზე — მარგველაშვილზე, ალასანიასა და ბოკერიაზე... არადა, ამ უკანასკნელთ რომ თავი დავანებოთ, მარგველაშვილს ჰქონდა უფლება, ვეტო დაედო კანონისთვის, მართალია, უმრავლესობა დაძლევდა, მაგრამ პოზიციას მაინც გამოხატავდა ამ საკითხთან მიმართებაში. გამორიცხულია, ამაზე არ ეფიქრა თავად ვასაძეს, მაგრამ ეს, ალბათ, ერთგვარი პოლიტიკაა და ვრცლად სხვა დროს გავაანალიზებთ, ამჯერად კი საინტერესო ის არის — ლევან ვასაძე, რომელიც ანტიდისკრიმინაციული კანონის მხარდამჭერი პარლამენტისა და ხელისუფლებისგან საქართველოს მომავლის გადარჩენას ცდილობს, საპატრიარქოს ნაწილის წაქეზებითა და მხარდაჭერით პოლიტიკაში მოდის. კულუარული ინფორმაციით, სწორედ ამიტომ მოითხოვს პარლამენტის დათხოვნასა და ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნას. სხვათაშორის, ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლასა და ნაციონალების დამარცხებაში, საპატრიარქოს საკმაოდ დიდი წვლილი მიუძღვის, ამას თუ დავუმატებთ პატრიარქის რეიტინგსა და ქართველი ერის ვერცხლმოყვარეობას (ივანიშვილი-პატარკაციშვილის ფაქტორი გავიხსენოთ), შემოდგომაზე საკმაოდ მრავალრიცხოვან პარტიას მივიღებთ... ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები — ეს ინფორმაცია განსჯისათვის... მანამდე ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებია — არჩევნები კი ბევრ პოლიტიკურ ფიგურას ჩამოწერს!

ვერსიანიუსი

ქურდობის ბრალდებით ერთი პირი დააკავეს

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლის სამხარეო სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, 1989 წელს დაბადებული გიგა ჭ. ქურდობის ბრალდებით დააკავეს. გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულმა 6 მარტს, გორში, ჭავჭავაძის გამზირზე, სახურავიდან ფარულად შეაღწია კომპიუტერული ტექნიკის ერთ-ერთ მაღაზიაში, საიდანაც სხვადასხვა მოდელისა და დასახელების 72 მობილური ტელეფონი, 10 ციფრული ფოტოაპარატი, მონო და ბალიბარათები, ოპერატიული მეხსიერების პლატა, მეხსიერების ჩიპები, 4 პლანშეტური კომპიუტერი, „ტაოპრივატბანკის“ კუთვნილი 1 პლანშეტური კომპიუტერი და 310 ლარი მოიპარა. იმავე მაღაზიიდან მეორე მაღაზიაში შეაღწია, სადაც 2 ვიდეოკამერას, 14 ნოუთბუქს, 1 პლანშეტურ კომპიუტერს, მეხსიერების ჩიპებს ფარულად დაეუფლა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

გამოძიებით დადგინდა, რომ ნაქურდალი ნივთების საერთო ღირებულება 34 000 ლარია. სამართალდამცველებმა დაკავებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას მოპარული ნივთების მცირე ნაწილი ამოიღეს. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს. გამოძიება ქურდობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 177-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით).

„ვერსიანიუსი“

ალექსანდრე ჭიკაიძემ გუდაურში პოლიციის ახალი შენობა გახსნა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, პოლიციის ახალი, ორსართულიანი, თანამედროვე სტანდარტების შენობა უახლესი ტექნიკითა და ინვენტარითაა აღჭურვილი.

ახალ შენობაში შინაგან საქმეთა სამინისტროს რამდენიმე სამსახური — მცხეთა-მთიანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ყაზბეგის რაიონული პოლიციის გუდაურის განყოფილება, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტისა და დაცვის პოლიციის დანაყოფები განთავსდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში აღნიშნულია: **„ხსენებული სამსახურები დღემდე სხვადასხვა შენობაში იყო განლაგებული. გუდაურში შსს-ს სხვადასხვა დანაყოფის ერთ შენობაში განთავსება მათ ოპერატიულ და ეფექტურ საქმიანობას გააუმჯობესებს“.**

„პირველი“

„ნატო პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებში ჯარების განლაგებას გეგმავს“

The Sunday Times-ის ინფორმაციით, ნატო პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებში ჯარების განლაგების გეგმებზე მუშაობს. ნატო-ს წევრი სახელმწიფოების თავდაცვის მინისტრები აღნიშნულ გეგმებს მიმდინარე კვირას ბრიუსელში დაგეგმილ შეხვედრაზე განიხილავენ. შეხვედრაზე სექტემბრის სამიტის პროგრამა უნდა მომზადდეს. The Sunday Times აღნიშნავს, რომ 1997 წელს ნატო-სა და რუსეთს შორის თანამშრომლობის შესახებ აქტი გაფორმდა და შეთანხმდნენ, რომ დასავლეთის სახელმწიფოები არ განალაგებენ მნიშვნელოვან შეიარაღებულ ძალებს ელბას აღმოსავლეთით. მიუხედავად იმისა, რომ დღემდე ეს პირობა დაცული იყო, რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიამ ვითარება შეცვალა. გამოცემა ასევე აღნიშნავს, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გეგმების შესახებ ინფორმაცია გასულ კვირას გაჩნდა, როდესაც რუსეთმა ჩინეთისთვის ბუნებრივი აირის მიყიდვის შესახებ ხელშეკრულება გააფორმა. ეს კი, ექსპერტებმა შეაფასეს, როგორც რუსეთის წინააღმდეგ სანქციების შემოღების შემდეგ, კრემლის მხრიდან დასავლეთის აბუჩად აგდება.

„ინტერპრესნიუსი“

„თითოეულ ლარსა და თეთრს გამოვეკიდებით!“

რას პირდება მთაწმინდელებს და ვის დასჯას ითხოვს ჯაბა ჯიშკარიანი

ირუსუდან შელია
557-100-768

„სამოქალაქო ფრონტიდან“ აქტიურ პოლიტიკაში გადადის — „ქართულმა ოცნებამ“ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მთაწმინდის რაიონის მაჟორიტარად დაასახელა. ამბობს, რომ გამარჯვებისთანავე, ნაციონალური მოძრაობის მიერ განხორციელებულ პროექტებს შეამოწმებს. რას პირდება ამომრჩეველს და ვინ დაასახელა „ქართული ოცნების“ რჩეულად, „ვერსიას“ მთაწმინდის მაჟორიტარობის კანდიდატი ჯაბა ჯიშკარიანი ესაუბრა.

— მას შემდეგ, რაც „ქართულმა ოცნებამ“ მთაწმინდის რაიონში მაჟორიტარობის კანდიდატად დამასახელა, არამხოლოდ გუნდის, ამომრჩევლის წინაშეც უზარმაზარ პასუხისმგებლობას ვგრძნობ. ჩემში ეს განცდა გამარჯვების შემდეგ უფრო გაიზრდება, ზოგადად კი, თავს იმ ძალის ნაწილად მივიჩნევ, რომელიც საზოგადოების იმედს გაამართლებს და თითოეულ მოქალაქეს ოცნებას აუხდენს.

— მთაწმინდელებს რა ოცნება აქვთ, უკვე გაარკვიეთ? რას პირდებით ამომრჩეველს?

— სხვა ლიდერებისგან განსხვავებით, ამომრჩეველს პოლიტიკურ დაპირებებს არ ვაძლევ. კონკრეტულად ვიცი, თითოეულ უბანსა თუ ეზოში, მოსახლეობას რა ტიპის პრობლემები აწუხებს. სწორედ მათი გადაჭრაა არამხოლოდ ჩემი, დავით ნარმანიას მომავალი ფუნქციაცა, რომელიც, დარწმუნებული ვარ, თბილისში საკმაოდ მაღალი შედეგით გაიმარჯვებს. არავის ეგონოს, ზედმეტად ამბიციურები ვართ, უბრალოდ, თბილისელების სიყვარულს ყოველდღიურად ვგრძნობთ. პირადად მე, გამარჯვების შემდეგ, წინა ხელისუფლების წარმომადგენლების მსგავსად, კაბინეტში ჯდომასა და ფეხის ფეხზე გადადებას არ ვაპირებ. პირიქით, გამგებელს თითოეული პრობლემის მოგვარებაში დავეხმარები. საჯარო პირობას ვდებ — არჩევნების შემდეგ კარდაკარ ვივლი, მოსახლეობის ნებისმიერ ზარს ვუპასუხებ და თითოეულ ეზოში გამოვცხადდები. მხოლოდ საკრებულოში კი არ დავესწრები სხდომებს, მაჟორიტარის ბიუროც იმუშავებს, რათა თითოეულ მოქალაქეს მოვუსმინო.

— იგივე დაპირება 2012 წლამდეც გვესმოდა, მაგრამ დეპუტატები თუ მთავრობის წარმომადგენლები მოქალაქეების ზარებს დიდი ხანია არ პასუხობენ.

— ამას მიზეზი აქვს — მერია ორი წელია მხოლოდ საბოტაჟის რეჟიმში მუშაობს. რაც შეეხება დეპუტატებსა და სამთავრობო გუნდს, მათი მისამართით კრიტიკა მეც ბევრჯერ მსმენია, თუმცა აბსოლუტურად უსაფუძვლოდ მეჩვენება. გასაგებია, რომ ზაზა პაპუაშვილი მოსახლეობისგან უამრავ წერილს იღებს, მაგრამ შემდეგ, პრობლემების მიხედვით, სხვადასხვა ორგანოში აგზავნის, სადაც საქმეს არავინ აკეთებს. არჩევნების შემდეგ ვითარება რადიკალურად შეიცვლება, ნაციონალური მოძრაობით დაკომპლექტებულ გამგეობაზე, მერიასა თუ მუნიციპალიტეტზე პასუხისმგებლობას არ ავიღებთ. გვაქვს ამბიცია, მთაწმინდასა და თითოეულ რაიონში მოსახლეობის სიყვარული შევინარჩუნოთ, ამიტომ 15 ივნისის შემდეგ საზოგადოებისგან დარტყმასა თუ უნდობლობას არ დავიმსახურებთ. სხვათა შორის, საკრებულოში შესვლისთანავე დავინტერესდები, წინა ხელისუფლება სხვადასხვა პროექტს რამდენად ხარისხიანად ახორციელებდა. მაგალითად, გზები იმდენად უხარისხოდაა დაგებული, თავიდანაა გასაკეთებელი. აუცილებლად დავადგენ, ხალხის ფულს ვინ იპარავდა.

— საკრებულოში შურისძიებისთვის შედიხართ?

— შურისძიება არ გვჭირდება, უბრალოდ, ჩემი პრინციპია — თითოეული თეთრი ხალხს მოხმარდეს. ყველა, ვინც სახელმწიფოს ფულს პარავდა, უნდა დაისაჯოს! ეს მიდგომა ჩვენთვისაც ერთგვარი კონტროლის მექანიზმი იქნება. კონკრეტულ მაგალითს დაგისახელებთ: რამდენიმე დღის წინ კიკეთში ვიყავი, სადაც რვა თვის განმავლობაში სანიაღვრე სისტემა შენდებოდა. სინამდვილეში არაფერი გაკეთდა — ბეტონიც კი თავიდანაა ჩასასხმელი. ამაზე პასუხი არავინ უნდა აგოს? რუსთაველის ქუჩას ერთი ნათურაც რომ დააკლდეს ან სოლოლაკში, კულტურული ძეგლის სტატუსის მქონე სახლის ჩუქურთმა არ შეკეთდეს, პასუხისმგებლობა აუცილებლად დამეკისრება, ამიტომ თითოეულ ლარსა და თეთრს გამოვეკიდებით!

— ისე, მთაწმინდის მაჟორიტარ კანდიდატად, რა დამსახურებისთვის დაგასახელეს?

— ამაზე პირადად რომ ვისაუბრო, უხერხულია. მირჩევნია, ჩემ განვლილ ცხოვრებაზე იმ ადამიანებმა ილაპარაკონ, რომლებმაც ნდობის მანდატი მომანიჭეს.

— ის მაინც მითხარით, საარჩევნო სიაში ვისი რეკომენდაციით მოხვდით?

— არ ვიცი, ამაზე საუბარიც უადგილოა. ისე, 2003 წლის შემდეგ, ჩემი გუნდის გარეშე ფოთოლი არ ჩამოვარდნილა. ყველა პროცესში ჩართული ვიყავი. ციხეშიც რამდენჯერმე ვიჯექი, მაგრამ კრიმინალი არ ვყოფილვარ. ნაციონალური მოძრაობის დიქტატორულ რეჟიმს ვებრძოდი და ადამიანის უფლებებს, ხშირად საკუთარი ჯანმრთელობის ფასად ვიცავდი.

— ახლა თქვენთვის სამართლიანობა აღდგა?

— სამართლიანობის აღდგენა ერთი თვეში არ მოხერხდება, დინამიური პროცესია და ამას გაგებით უნდა შევხვდეთ. არავის უნდა დარჩეს განცდა, რომ სამართლიანობის აღდგენა შურისძიებას დაემსგავსა. პირიქით, აბსოლუტურად მშვიდად, ყველა საქმე უნდა შეისწავლონ, რათა პოლიტპატიმრის სტატუსი ვინმეს არ „მიეკეროს“. დანაშაულზე შური კონსტიტუციამ უნდა იძიოს და არა ნებისმიერი ჩვენგანის შეხედულებამ თუ ემოციამ. ეს კარგს არაფერს მოგვიტანს, რადგან კანონის წინაშე თანასწორნი ვართ.

— ნაციონალური მოძრაობის წევრები დიდი ხანია აპელირებენ, რომ პროკურატურაში დაბარებულ თითოეულ ყოფილ მაღალჩინოსანს პოლიტიკური ნიშნით დევნიან. ეთანხმებით?

— რა თქმა უნდა, არა, მაგრამ ერთი ფაქტი ყველამ უნდა გაითვალისწინოს — პროკურატურაში 40 ათასამდე ადამიანის საჩივარია შესული. პირველი ოქტომბრის შემდეგ, როგორც კი ქვეყანაში შიშის ფაქტორი გაქრა, პროკურატურასთან ნაციონალური მოძრაობის დროს შევიწროებული ადამიანების რიგი დადგა — ზოგი ფაქტებით, ზოგი კი მტკიცებულებების გარეშე მივიდა, ამიტომ ახლა ამ მასალების გადახალისება მიმდინარეობს. ბუნებრივია, სამართლიანობის აღდგენას მეც ველი, რადგან, როგორც რიგითი მოქალაქე, ამისთვის ვიბრძოდი. მეც მაქვს ჩემი უფლებები! კარგია, რომ ჯალათები ციხეში სხედან და არა იმიტომ, რომ შური ვიძიეთ, არამედ საბოლოოდ, სამართალი პურს აუცილებლად ჭამს. ეს მაგალითი უნდა გახდეს ჩვენთვის, როგორც მომავალი ხელისუფლებისთვის — დაუსჯელი არავინაა, გადაცდომა არავის შერჩება, თუმცა, დარწმუნებული ვარ, მსგავსი მაგალითები ჩვენ გუნდში არ იქნება. პირიქით, საზოგადოების წინაშე აღებულ პასუხისმგებლობას კარგად ვგრძნობთ. ვფიქრობ, საქართველოში დაინგრა პრეცედენტი, როცა პოლიტიკოსობა იმუნიტეტი იყო და ბარიერებიც ვერ აშინებდა.

— თუმცა, შემიძლია რამდენიმე „გადაცდომა“ ჩამოგითვალოთ: ბოლო სასჯელაღსრულების სამინისტროში დაფიქსირდა — დეპარტამენტის წევრები თვეში 30 ათასლარიან პრემიას იწერდნენ. ეს ხალხის ფულის მოპარვა არ არის?

— სასჯელაღსრულების სამინისტროში მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია არ მაქვს, მაგრამ მთავრობას ადეკვატური რეაქცია ჰქონდა, როცა ასეთი თანამშრომელი თანამდებობიდან გაათავისუფლა. ადრე თუ მინისტრი ან მისი მეგობარი იყავი, არავინ გსჯიდა, პირიქით, უკანონობისკენ წაგახალისებდნენ. მერწმუნეთ, ის, რომ სახელმწიფო საზოგადოებას უსმენს და საკუთარი გუნდის წევრების მიმართაც კი მკაცრ ზომებს იღებს, სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯია. „ქართული ოცნება“ მსგავს უკანონობაზე თვალს არც მომავალში დახუჭავს.

— ისე, ცნობილია, რომ წლების განმავლობაში, საპრეტესტო აქციებზე დაკავების შემდეგ თქვენი ადმინისტრაციული ჯარიმების რაოდენობამ 20 ათას ლარს გადააჭარბა. სახელმწიფოსთან ფინანსური დავალიანება მოაგვარეთ?

— ჯარიმების გამო, მართლაც, სოლიდური დავალიანება დამიგროვდა, მაგრამ მათ უმრავლესობას ამნისტია შეეხო. შესაბამისად, გადასახდელი საკმაოდ მცირე თანხა მქონდა. ისიც ჩემი რესურსით დავფარე მას შემდეგ, რაც ხელისუფლება შეიცვალა. 2012 წლამდე თანხას პრინციპულად არ ვიხდიდი — ნაციონალური მოძრაობა ამას ისევ ჩემ წინააღმდეგ გამოიყენებდა.

შსს-მ დიდი ოდენობით ნარკოტიკის შეძენა-შენახვისთვის ორი პირი დააკავა

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის პირველი მთავარი სამმართველოს მესამე სამმართველოს პირველი განყოფილების თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქეები – 1984 წელს დაბადებული არმენ ა. და 1985 წელს დაბადებული მინას მ. დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების ჯგუფურად უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით თბილისში დააკავეს.

სამართალდამცველებმა არმენ ა-ს პირადი ჩხრეკისას 1 შეკვრად დაფასოებული 1,88 გრ ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით, კანაფის ფისს შეიცავს. მინას მ-ს პირადი ჩხრეკისას კი 11 შეკვრად დაფასოებული 7,77 გრ ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით, კანაფის ფისს შეიცავს. მინას მ-სგან ასევე ამოღებულია 4 აბი და აბის ნატეხი, რომელიც ექპერტიზის დასკვნით, 0,0333 გრ ბუპრენორფინს შეიცავს. ნარკოლოგიური შემოწმებით, დაკავებულებს მარიხუანასა და ბუპრენორფინის მოხმარების ფაქტი დაუდგინდათ. გამოძიება დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების ჯგუფურად უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტით).

„ვერსიანიუსი“

დაწყებით კლასებსა და საბავშვო ბაღებში სწავლა მომდევნო კვირამდე შეწყდა

საჯარო სკოლების დაწყებით კლასებში, კერძოდ მე-6 კლასის ჩათვლით და საბავშვო ბაღებში, სასწავლო პროცესი, სავარაუდოდ, მომავალ კვირას განახლდება.

როგორც საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა, დავით სერგეენკომ განაცხადა, უწყება რეკომენდაციას უწევს განათლების სამინისტროს, არსებული შეზღუდვები 6 კლასის ჩათვლით გაგრძელდეს კიდევ 4 სასწავლო დღე. მისივე თქმით, იგივე შეზღუდვები ეხება საბავშვო ბაღებსაც: **„ვირუსული მენინგიტის შემთხვევებმა თბილისში იკლო. რაიონებში გარკვეული ინტერვალი ექნება და სავარაუდოდ, ერთი კვირის შემდეგ შემცირდება. პოზიტიური დინამიკა გამოკვეთილია. რადგან დინამიკა პოზიტიურია თბილისში, მაგრამ ჯერ არ არის რაიონებში, რეკომენდაციას ვუწევთ განათლების სამინისტროს, შეზღუდვები მე-6 კლასის ჩათვლით, კიდევ 4 დღე კვლავ გაგრძელდეს. იგივე ეხება საბავშვო ბაღებსაც“.**

ჯანდაცვის მინისტრი ვარაუდობს, რომ მომდევნო კვირაში სასწავლო პროცესის შეწყვეტა საჭირო აღარ იქნება.

ვირუსული მენინგიტის გავრცელების გამო, ჯანდაცვისა და განათლების სამინისტროებმა სასწავლო პროცესის დროებით შეწყვეტის გადაწყვეტილება 21 მაისს მიიღეს. განათლების სამინისტროს ინფორმაციით, დაწყებით კლასებში, 37-30 მაისს გაცდენილი საათები მოსწავლეებს საპატიოდ ჩაეთვლებათ და საზაფხულო არდადეგების თარიღი არ გადაიწევს.

ბოლო ერთი თვის განმავლობაში საქართველოში მენინგიტის 306 შემთხვევაა აღრიცხული. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, შემთხვევების უმეტესობა (169) თბილისშია რეგისტრირებული, 51 ქუთაისში, 18 აჭარაში, 11 კი რუსთავში.

თბილისში აღრიცხული შემთხვევებიდან ვირუსული მენინგიტით ყველაზე მეტად 5-9 წლის ბავშვები არიან ინფიცირებულნი, მათი რაოდენობა 90-მდე აღწევს. შემდეგ ასაკობრივ ჯგუფს 2-4 წლამდე ასაკის ბავშვები წარმოადგენენ – 60 შემთხვევით, შემდეგ მოდის 10-14 წლის ასაკის ბავშვები 40-ზე მეტი შემთხვევით.

ჰოსპიტალიზაციის ყველაზე მეტი რაოდენობა (20 შემთხვევა) თბილისში 22 მაისს დაფიქსირდა.

ვირუსული მენინგიტი ხელის კონტაქტის შედეგად გადადის და ჰიგიენის დაცვა აუცილებელია.

„ვერსიანიუსი“

სამწუხაროდ, ეს საკითხი დღეს არავის აინტერესებს

კანონში განსაზღვრული არ არის, როგორ გადანაწილდება თანხა მუნიციპალიტეტს, თვითმმართველი ქალაქის მერაისა და საკრებულოს შორის

მაია მიშელაძე
593-51-90-12

15 ივნისს, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე, საქართველოს მოსახლეობა 12 თვითმმართველი ქალაქის მერს, 58 გამგებელსა და 71 საკრებულოს წევრებს აირჩევს. საინტერესოა, რა ბიუჯეტი დახვდება 16 ივნისს ახალ მერს, გამგებელსა და საკრებულოს თავმჯდომარეს, ან დახვდება თუ არა საერთოდ? თვითმმართველ ქალაქებს — თბილისს, რუსთავს, ქუთაისს, ფოთს, რამდენიმე ახალი ქალაქი შეემატა და ბუნებრივია, ლოგიკური კითხვა ჩნდება — საიდან, როგორ ან რა მექანიზმით დაფინანსდება ახალი თვითმმართველი, თუ მუნიციპალური ერთეულები? როგორაა ეს საკითხები თვითმმართველობის კოდექსში დარეგულირებული?

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **მიხეილ ჯიბუტი** „ვერსიასთან“ საუბრისას აცხადებს, რომ 15 ივნისის არჩევნების შემდეგ, სამწუხაროდ, ახალი თვითმმართველი ქალაქების მერიებისთვის საჭირო შენობა-ნაგებობები არ არსებობს. არჩევნების შემდეგ არ გვეცოდინება, სად განთავსდება მაგალითად, ქალაქ ამბროლაურის თვითმმართველობის ოფისი, რომელ შენობაში შევა ქალაქის მერი: **„უმთავრესი და, იმავდროულად, სამწუხარო ფაქტია, რომ ამ ახლადარჩეულ ადამიანებს ხელფასს არაფერში მივცემთ. ეს ხარჯები იმ ბიუჯეტის ფარგლებში გადანაწილდება, რაც დღემდე არსებობს, რადგან დამატებითი ხარჯი ბიუჯეტში გათვალისწინებული არ არის. 15 ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ ასეთ რეალობაში აღმოვჩნდებით — არ გვეცოდინება, სად განვათავსოთ იმ თვითმმართველი ქალაქების მერები ან გამგებლები, სადაც აქამდე ქალაქის თვითმმართველობა არ არსებობდა. არჩევნების შემდეგ უნდა გამოვნახოთ შენობები, გამოვყოთ ოთახები... ჩემთვის უცნობია, ახლა ამაზე ვინმე მუშაობს თუ არა. შესაძლოა, საკრებულოების ტერიტორია ორად გაიყოს, ერთი თვითმმართველობას, მეორე მუნიციპალურ საკრებულოს დაეთმოს. გამორიცხული არ არის, შენობის ერთ სართულზე მერია იყოს, მეორეზე საკრებულო. ეს საკითხები დღემდე დაურეგულირებელია“.**

ქვეყნის მასშტაბით, ახალი თვითმმართველი ქალაქებიც გაჩნდა და საკრებულოების რაოდენობაც გაიზარდა. როგორ უნდა განისაზღვროს ახალი თვითმმართველი ქალაქების ან მუნიციპალური ერთეულების ადგილობრივი ბიუჯეტები? საიდან და როგორ უნდა დაფინანსდეს, სახელმწიფო ბიუჯეტიდან თუ მუნიციპალური განვითარების ფონდიდან? მიხეილ ჯიბუტის განმარტებით, თვითმმართველობის კოდექსი არც ამ საკითხს არეგულირებს: **„მხოლოდ ის ვიცით, რომ ეს თანხა იმ მოცემულობით უნდა გადანაწილდეს, რაც გვაქვს. რა დრო დასჭირდება ამ პროცესს, უცნობია. ეს მნიშვნელოვანი დეტალები თვითმმართველობის კოდექსს უნდა დაერეგულირებინა, მაგრამ კანონში მსგავსი რამ გაწერილი არ არის. 15 ივნისის არჩევნების შემდეგ მოგვიწევს მსჯელობა, როგორ ან რა პრინციპით გადავანაწილოთ თანხა. სამწუხაროდ, ეს საკითხი დღეს არავის აინტერესებს. ხელისუფლების წარმომადგენლები გვეუბნებიან, თანხა, რაც უკვე ადგილობრივ ბიუჯეტებში არსებობს, ახლადშექმნილ ერთეულებზე გადანაწილდებაო. თეორიულად, შესაძლებელია, მაგრამ ეჭვი მეპარება, ამის პრაქტიკულად განხორციელება იოლი იყოს — პროცესს, სავარაუდოდ, საბიუჯეტო ხარჯების ზრდა მოჰყვება. მაგალითად, კანონში განსაზღვრული არ არის, როგორ უნდა გადანაწილდეს თელავის ბიუჯეტისთვის გამოყოფილი კონკრეტული თანხა ქალაქის მერიის, საკრებულოსა და რაიონების მიხედვით. რაც შეეხება მექანიზმს, თუ პირობითად, 5 000 000 ლარს ავიღებთ, სავარაუდოდ, 3 000 000 მერიას, ხოლო 2 000 000 საკრებულოს ერგება. ზუსტად როგორ უნდა განაწილდეს, გაურკვეველია. ამ ფონზე, გამორიცხული არ არის, სამართლიანობის პრინციპიც დაირღვევს, რადგან ნებისმიერი რაოდენობის საბიუჯეტო სახსრების განაწილება კონკრეტული თანამდებობის პირის პოლიტიკურ ნებაზე იქნება დამოკიდებული. ადგილობრივი მოსაკრებელი და შემოსავალი ტერიტორიის მიხედვით, ადგილობრივ ბიუჯეტში შევა, ცენტრალური თანხა ანუ ტრანსფერი კი, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ისე გადანაწილდება, როგორც საჭიროდ ჩათვლიან. თუ თანხა სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა გამოიყოს, ამას პარლამენტი, ხოლო თუ მუნიციპალური განვითარების ფონდიდან, მაშინ მთავრობა გადაწყვეტს. ეს ყველაფერი კანონში გაწერილი უნდა ყოფილიყო, მაგრამ დიდი ხანია საქართველოს ეკონომიკას პოლიტიკა მართავს და ნებისმიერი საკითხი პოლიტიკური მიზანშეწონილობით წყდება და არა ეკონომიკური გაანგარიშებით“.**

ახალი კანონმდებლობის მიხედვით, ხელფასს მხოლოდ თანამდებობის პირები მიიღებენ. საკრებულოებს ფრაქციის თავმჯდომარეები და მოადგილეები ჰყავს და შესაბამისად, ანაზღაურებაც მათ ეკუთვნის. საკრებულოს წევრობისთვის ხელფასს არავინ იღებს, მაგრამ მიხეილ ჯიბუტის განცხადებით, ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმაც ცხადყო, რომ საკრებულოების წევრები დანამატებითა და პრემიებით სარგებლობენ. „ვერსიის“ კითხვაზე, რატომ არ გაითვალისწინეს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ახლადშექმნილი თვითმმართველი ქალაქებისა და მუნიციპალური ერთეულების ხარჯი, მიხეილ ჯიბუტი პასუხობს: **„სამწუხაროდ, თვითმმართველობის ახალი კოდექსი თვითმმართველობის გასაძლიერებელი კანონი არ არის. პირიქით, ამ კოდექსის მიხედვით, სადაც თვითმმართველობა არსებობდა, ისიც მოიშალა. ადგილებზე ორხელისუფლებიანობის საფრთხე იქმნება, რადგან კანონში გამოკვეთილი არ არის, ვინ იქნება პირველი პირი მუნიციპალიტეტში — არჩეული გამგებელი თუ საკრებულოს თავმჯდომარე. ეს კი რეალურ ცხოვრებაში, სხვადასხვა სოციალური თუ კომუნალური საკითხის გადაწყვეტის დროს, სერიოზულ წინააღმდეგობასა და გაუგებრობას შექმნის. კანონით, ასეთი საფრთხე საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტის დონეზე არსებობს. ეს კანონმდებლობა თვითმმართველობის გაუმჯობესებისკენ არაა მიმართული. ესაა პოლიტიკურად სახიფათო თამაში, რომლის კარგი მაგალითია უკრაინის ფედერალიზაციაა რუსეთის მიერ, რასაც ბოლო 20 წლის განმავლობაში, საქართველოს სხვადასხვა ხელისუფლებაც წარმატებით განაგრძობს ჯერ გუბერნატორების შემოღებით და ახლა უკვე რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში, ამბროლაურის დედაქალაქად გამოცხადებით. ამბროლაურში ქალაქის თვითმმართველობის შექმნა დანაშაულებრივი, მავნებლური გამოხატულებაა, რადგან ფედერაციის ტიპის ცენტრების შექმნით, საქართველოს დაქუცმაცების საფრთხე იქმნება. ამის არავითარი საჭიროება არ ყოფილა იმის გარდა, რომ ოფიციალურად დაფიქსირებულიყო გარკვეული ტერიტორია, რომლის ფედერალური ცენტრი ამბროლაურია. უკრაინაში განვითარებული მოვლენების ფონზე, განსაკუთრებით საშიშია ასეთი ცენტრები, რადგან თავის დროზე, რუსეთმაც რეგიონად გამოყო ყირიმი, სადაც მოგვიანებით, რეფერენდუმი ჩაატარა და უკრაინას ჩამოაშორა. ჩვენმა კოჰაბიტებმა კი — ნაციონალებმაც და „ოცნებამაც“, თვითმმართველობის კოდექსით საქართველოს ფედერალიზაციას შეუწყვეს ხელი“.**

მიხეილ ჯიბუტი აცხადებს, რომ არჩევნების ჩატარება ეკონომიკური პროცესია, ამიტომ ადგილობრივი თვითმმართველობისა და ზოგადად, ნებისმიერი სახის არჩევნები ივნისში კი არა, წლის ბოლოს უნდა გამართულიყო. მისი თქმით, შესაძლოა, წინა საკრებულომ წლის მანძილზე გამოყოფილი თანხა სრულად გახარჯა და გამორიცხული არ არის, საბიუჯეტო სახსრები წინასაარჩევნო პერიოდისთვისაც გამოეყენებინათ. მიხეილ ჯიბუტს მიაჩნია, რომ 2014 წლის მეორე ნახევარი ეკონომიკურად რთული იქნება, რადგან ადგილობრივ ბიუჯეტებში ბევრი სოციალური და კომუნალური ხარჯია, მათ შორის სახელფასო ხარჯი და შესაბამისად, ახლადარჩეულ საკრებულოებს რთული ეკონომიკური პროცესი ელით.

იმის გასარკვევად, უკვე არის თუ არა გადაწყვეტილი, სად განთავსდება თვითმმართველი ქალაქების მერია-საკრებულოები, „ვერსია“ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაუკავშირდა. საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტში განგვიცხადეს, რომ ამ მიზნით იმ შენობებს გამოიყენებენ, რომლებიც აქამდე მუნიციპალურ შენობებად ითვლებოდა. თვითმმართველობის კოდექსის მიხედვით, ტერიტორიული ოპტიმიზაცია აღარ მოხდა. ეს ნიშნავს, რომ მაგალითად, გორი თვითმმართველ ქალაქად კი გამოცხადდა, მაგრამ მუნიციპალიტეტებად აღარ გაიყო. შესაბამისად, გორის მერი, გამგებელი და საკრებულოს თავმჯდომარე გორის მუნიციპალიტეტის შენობაში განთავსდებიან. ასეთივე პრინციპი იმოქმედებს საქართველოს მასშტაბით, ყველა მუნიციპალურ ერთეულსა და თვითმმართველ ქალაქში.

სასამართლომ დავით კეზერაშვილი უდანაშაულოდ სცნო

თავდაცვის ყოფილი მინისტრი დავით კეზერაშვილი სასამართლომ ე.წ. კონტრაბანდული სპირტის საქმეზე გაამართლა. მასთან ერთად ბრალდებულ მის სიძეს, მეირ ჯანაშვილს კი თავისუფლების 9 წლით აღკვეთა მიესაჯა.

ბიზნესმენი დავით კეზერაშვილი, ქართული მხარის მოთხოვნის საფუძველზე, საფრანგეთში 2013 წლის 15 ოქტომბერს დააკავეს, თუმცა საფრანგეთის სასამართლომ საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრის ექსტრადირებაზე უარი განაცხადა და გაათავისუფლა.

დავით კეზერაშვილის წინააღმდეგ, საქართველოში რამდენიმე საქმეა აღძრული. ერთ-ერთი კონტრაბანდული სპირტის საქმეა, მეორე ტელეკომპანია „იმედის“ და რიყის ტერიტორიის გასხვისებისა, სადაც კეზერაშვილი გიგი უგულავასთან ერთადაა ბრალდებული, მესამე საქმე კი დავით კეზერაშვილს თავდაცვის მინისტრობის პერიოდს უკავშირდება — კეზერაშვილს სამინისტროს შესყიდვების დეპარტამენტის ყოფილ უფროსთან, ალექსანდრე ნინუასთან ერთად, ბიუჯეტის გაფლანგვით, 6 მილიონამდე ევროს მითვისებას ედავებიან.

„პირველი“

ირაკლი ღარიბაშვილმა მცხეთა-მთიანეთი მოინახულა

პრემიერ-მინისტრმა სოფელ ბულაჩაურის მოსახლეობასთან საუბრისას განაცხადა, რომ ხელისუფლების ვალდებულებაა, აკეთოს საქმე და იზრუნოს ხალხზე.

მთავრობის მეთაურმა ბულაჩაურის სამელიორაციო სისტემის სათავე ნაგებობის მშენებლობა დაათვალიერა. სამუშაოების შედეგად აღდგება საგურამოს სარწყავი სისტემა. ღარიბაშვილის თქმით, ხელისუფლება თანმიმდევრულად აგვარებს წლების მანძილზე დაგროვილ და უყურადღებოდ მიტოვებულ მნიშვნელოვან პრობლემებს. ბულაჩაურის მოსახლეობამ პრემიერს წყლის პრობლემის მოგვარება, შიდაგზის მოწესრიგება სთხოვა და მათი გადაჭრის პირობა მიიღო. პრემიერი ასევე სტუმრობდა სოფელ ბევრეთს, რომელსაც ელექტროენერგია არასოდეს ჰქონია. ღარიბაშვილმა ზაურ ახვლედიანის ოჯახში ელექტრონათურა სიმბოლურად აანთო. მთავრობის მეთაურმა განაცხადა, რომ საქართველოში აღარ იარსებებს დასახლებული პუნქტი, სადაც ელექტროენერგია არ იქნება.

ღარიბაშვილმა სინანულით აღნიშნა, რომ სოფელში, უშუქობის გამო, იქ რეგისტრირებული რამდენიმე ათეული მოსახლის ნაცვლად, მხოლოდ ექვსი ოჯახი ცხოვრობდა. პრემიერ-მინისტრი მიიჩნევს, რომ აუცილებელი ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფით, როგორიცაა ელექტროენერგია, გზა, წყალი და ბუნებრივი აირი, ადამიანები მშობლიურ სოფლებს დაუბრუნდებიან.

პრემიერ-მინისტრმა სოფელ ბევრეთის დედათა მონასტერი და წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაც მოილოცა. სამონასტრო კომპლექსში მასთან ერთად ვიცე-პრემიერი, ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე იმყოფებოდა.

სოფელ ზარიძეების მოსახლეობასთან შეხვედრისას კი, პრემიერმა აღნიშნა, რომ სექტემბერში უკვე გვექნება კანონი მთის შესახებ და მთელი ყურადღება მთიანი რეგიონებისკენ გადავა. პრემიერმა თიანეთი-ზარიძეები-ჟინვალის საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებიც დაათვალიერა. ამ გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები 1980-იანი წლების შემდეგ არ ჩატარებულა, რის გამოც ბოლო წლების განმავლობაში, ფაქტობრივად, არ ფუნქციონირებდა და მოსახლეობას გადაადგილების პრობლემას უქმნიდა. პრემიერმა მადლობა გადაუხადა ადგილობრივებს მოთმინებისთვის და შიდაგზებისა და სასმელი წყლის პრობლემის აღმოფხვრაში დახმარება აღუთქვა: **„რეგიონები მოვიარე და ყველგან ბევრი პრობლემა დაგვხვდა. სამწუხაროდ, ოქროს დრო არის დაკარგული, წლების მანძილზე ეს პრობლემები დაგროვდა. ახლა მთავარია სოფლის მეურნეობის და ეკონომიკის განვითარება. უკვე გვაქვს შედეგები, გლეხის შრომა დაფასდა“.**

„ვერსიანიუსი“

ადვოკატები ადვოკატების წინააღმდეგ!

გადააყენებენ თუ არა ზაზა ხატიაშვილს და რა სისხლის სამართლის დანაშაულზე საუბრობს ასოციაციის თავმჯდომარე

ნინო კომახიძე
599-95-33-16

ადვოკატთა ასოციაციაში დაპირისპირება საინტერესო ფაზაში შედის. ახლადშექმნილი ორგანიზაცია „ადვოკატთა უფლებებისთვის“ და მისი ხელმძღვანელი ნიკოლოზ მჟავანაძე ასოციაციაში ვადამდელი არჩევნების ჩატარებას ითხოვენ. მოქმედი და უკვე მეორედ არჩეული თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილი კი მჟავანაძეს არაპირდაპირ, მაგრამ მაინც გარიცხვით ემუქრება. რეალობა ისევ მწარეა: გასულ წლებში 100-ზე მეტი დაჭერილი ვექილის ფონზე, ადვოკატთა კორპუსი დღეს ზედმეტადაა პოლიტიზებული და შიდაჯგუფებად დაყოფილი.

როგორც ირკვევა, ორგანიზაცია „ადვოკატთა უფლებებისთვის“ უკვე რამდენიმე თვეა, სერიოზულად მუშაობს ასოციაციის წესდებაში შესატან ცვლილებებზე. მათი უმთავრესი მოთხოვნა საკმაოდ ნოვატორულია და ვადამდელი არჩევნების ელექტრონული წესით ჩატარებას უკავშირდება. მსგავსი ტიპის არჩევნები შოტლანდიაში, უნგრეთში, ლატვიასა და აშშ-ში ტარდება და ჩვენც დროსა და ფინანსებს დავზოგავთო, — ირწმუნება ნიკოლოზ მჟავანაძე. „ადვოკატები ცვლილებებისთვის“ 4000 ადვოკატს ასოციაციის თავმჯდომარისა და მმართველი რგოლების არჩევას შინიდან გაუსვლელად სთავაზობენ და ასოციაციის წესდებასა და მუშაობის წესში შემდეგი ცვლილებების შეტანას ითხოვენ: შეიქმნას ელექტრონული ბაზა წარმატებული ადვოკატების საქმეების განსათავსებლად; ამუშავდეს 24-საათიანი ცხელი ხაზი და სპეციალური მობილური ჯგუფი; შეიქმნას ადვოკატთა წახალისების სისტემა და სპეციალური ფონდი ადვოკატებისთვის აუცილებელი დავების საწარმოებლად; გაიზარდოს ასოციაციის ეგიდით ჩატარებული ტრენინგების ხარისხი და პრაქტიკა; ადვოკატთა ასოციაციას პარლამენტსა და სხვა სახელმწიფო სტრუქტურებში რეალური წარმომადგენლობა ჰყავდეს; ბიუჯეტიდან და გრანტებიდან შემოსული თანხები გამჭვირვალე იყოს; გასაჯაროვდეს ყოველწლიური აუდიტორული შემოწმების დასკვნები; ჩატარდეს გამოკითხვები ადვოკატთა შორის სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხზე; ამოქმედდეს ადვოკატთა პროფესიული დაზღვევა; 6 თვეში ერთხელ მომზადდეს ანგარიში ხელისუფლების დარღვევების შესახებ; შემცირდეს ადვოკატთა ასოციაციის წევრთათვის 20%-იანი საშემოსავლო გადასახადი; ასოციაციაში მისაღებად საკმარისი გახდეს მხოლოდ ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება; დაიწყოს ადვოკატთა კორპუსის რეალური დეპოლიტიზაცია... უშუალოდ, არჩევნების ნაწილში კი, როგორც ნიკოლოზ მჟავანაძე აცხადებს, ფარული კენჭისყრა კომპიუტერის მეშვეობით გაცილებით სწრაფი და უმტკივნეულო პროცესი იქნება. გარდა ამისა, ასობით ადვოკატის სახელით, მჟავანაძე ადვოკატთა კორპუსს სთავაზობს, საერთო კრების არასაპატიო მიზეზით არმონწვევის შემთხვევაში, თავმჯდომარის უფლებამოსილების შეწყვეტასა და ახალი თავმჯდომარის არჩევას.

რამ განაპირობა ასეთი დაპირისპირება ადვოკატთა ასოციაციაში და როგორ მივიდნენ ადამიანის უფლებადამცველები ერთმანეთის უფლებების დარღვევამდე — ამის შესახებ თავის პოზიციას „ვერსიისთვის“ **ნიკოლოზ მჟავანაძე** აფიქსირებს: **„ვადამდელი არჩევნების იდეა კარგა ხნით ადრე გაგვიჩნდა. ზაზა ხატიაშვილის გადაყენების თემა მანამდეც ტრიალებდა, თუმცა არჩევნების საკითხს სულ სხვა კუთხით ვუყურებთ: საარჩევნო სისტემაში ცვლილებებია საჭირო. ჯერ ერთი, ასოციაციაში 4 000-მდე ადვოკატია და ისინი ერთად არასოდეს არსად იკრიბებიან. არჩეულ თავმჯდომარეს ლეგიტიმაციის უფრო მაღალი ხარისხი რომ ჰქონდეს, ელექტრონული არჩევნები უნდა ჩატარდეს. სახლიდან გაუსვლელად, კომპიუტერით, თითოეული მათგანი სასურველ კანდიდატს ხმას მარტივად მისცემს. ელექტრონული არჩევნები ადვოკატების უმრავლესობის მონაწილეობას უზრუნველყოფს. დაიზოგება ფინანსები, დრო, აღარც 4 000-კაციანი დარბაზის დაქირავება მოგვიწევს. წინა არჩევნები ფილარმონიაში ჩატარდა, სადაც მხოლოდ 2 000 კაცი ეტევა. ხატიაშვილმა 994 ხმით მოიგო, ხმა სულ 1300-მა კაცმა მისცა და 1700 კაცი მოვიდა. ანუ, 400 ადამიანი უკან გაბრუნდა, იმხელა რიგი იდგა საარჩევნო ყუთებთან. ელექტრონული ტიპის მომსახურება კი მხოლოდ არჩევნების მშვიდად ჩატარების კი არა, წევრთა გამოკითხვის საშუალებასაც მოგვცემს. ხატიაშვილის ბევრ განცხადებას ადვოკატების უმრავლესობა არ ეთანხმება, მაგრამ ამის შესახებ ვერავინ იგებს. როცა დღის წესრიგში სერიოზული საკითხები დგება, მაგალითად, კანონში შესატანი ცვლილებები, ხატიაშვილის მოსაზრება თუ ინიციატივა საიტზე დაიდება და მისი მოწონების ან დაწუნების საშუალება სხვა ადვოკატებსაც ექნებათ. ბოლო არჩევნები შეურაცხყოფის ფონზე წარიმართა — იყო გინება, წივილ-კივილი... ამ ვითარების გამო ბევრი არჩევნებში მონაწილეობისგან თავს იკავებს“.**

ტექნიკურისა და ფინანსურის გარდა, ასოციაციაში სხვა სახის პრობლემებიცაა: ასოციაციის თავმჯდომარის მისამართით მძიმე პოლიტიკური ბრალდებებიც ისმის — მას ნაციონალურ მოძრაობასთან შეკრულ პირად მიიჩნევენ. ნიკოლოზ მჟავანაძის განცხადებით, ორგანიზაციაში გაერთიანებულ 100-ობით ადვოკატს ერთნაირი პოზიცია აქვს: **„ასოციაცია პოლიტიკურ სტრუქტურად იქცა, რომელიც სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფის ინტერესებს გამოხატავს. ასოციაციას დიდი ხანია ერთი და იგივე ხალხი მართავს. დღეს ისინი სიძულვილის ენით საუბრობენ. რამდენჯერმე, ამა თუ იმ თემაზე საწინააღმდეგო აზრის დაფიქსირების გამო, ხელისუფლებასთან შეკრულებად გამოგვაცხადეს და მტრები გვიწოდეს. ზაზა ხატიაშვილის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელიც შევიტანე, პატივისა და ღირსების შემლახავი ბრალდებების გამო. ადვოკატობა დღეს ყველაზე დაჩაგრული პროფესიაა და გვინდა, კვლავ პრესტიჟულად იქცეს, ამიტომ ჩვენი ორგანიზაციის პროგრამას ყველა ადვოკატს გადავუგზავნი. როცა ეს კამპანია დავიწყეთ, ითქვა, მჟავანაძეს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარეობა უნდაო, მაგრამ სკამისთვის არ ვიბრძვი, უბრალოდ, ბოლო მოვლენებით შეძრწუნებული ვარ და ვხედავ,**

ადვოკატთა ასოციაცია ნაციონალებთანაა გაიგივებული. ზაზა ხატიაშვილს 4 000 ადვოკატის სახელით ლაპარაკის უფლება არ აქვს. შეუძლია, პოლიტიკური საქმიანობა სხვა სტატუსით განაგრძოს. თუ თავად ადვოკატის უფლებები დაკნინდება, მოქალაქეების უფლებები როგორღა უნდა დაიცვან?! ერთ კაცს კი არ ვუპირისპირდები, მინდა, მთელი სისტემა შეიცვალოს!“

ნიკა მჟავანაძის უკანმდგომი 100-ობით ადვოკატი, ჯერჯერობით, არ ჩანს, მაგრამ ზაზა ხატიაშვილის მისამართით მსგავსი ბრალდებები აქამდეც გაჟღერდა. როგორც თავად ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე გვიხსნის, წესდებასა და არჩევის წესში ცვლილებების შესატანად, უფრო სწორად საკითხის კრებაზე დასასმელად, მინიმუმ, 400 ადვოკატის ხელმოწერაა საჭირო. მოკლედ, აქტიური თუ უჩინარი მოწინააღმდეგეების კითხვებს „ვერსიისთვის“ ზაზა ხატიაშვილმა უპასუხა და არც საპასუხო ბრალდებები დაიშურა: **„6 თვის წინ არჩევნები უკვე ჩატარდა და უპრეცედენტო რამ გავაკეთე — ხმის დამთვლელ კომისიაში უმრავლესობა შეგნებულად დავთმე. როცა პირველად ამირჩიეს ასოციაციაში, ადვოკატები ავტობუსებით მოჰყავდათ და არჩევნებიც ლამის პოლიციამ ჩაატარა. ახლა არჩევნები მართლა ელექტრონულად რომ ჩატარდეს, ხმას პოლიციის უფროსის კაბინეტიდან მისცემენ! გაცილებით უსაფრთხოა, ადამიანი არჩევნებზე ფიზიკურად მოვიდეს. მაშინ ხმათა 80% ავიღე. თუ ადვოკატთა იგივე რაოდენობა იტყვის, ნიკოლოზ მჟავანაძის ინიციატივები სწორიაო, მათ გადაწყვეტილებას დავემორჩილები, მაგრამ 10-მა ადვოკატმა რომ რაღაც წინადადება წამოაყენოს, ამის გამო კანონს ვერ შევცვლი. ბატონ მჟავანაძეს, წესდებაში ცვლილება რომ მოითხოვოს, 400 ხმის შეგროვება დასჭირდება. მან ისიც განაცხადა, 2 დღეში 400 ხელმოწერას შევაგროვებ და ზაზა ხატიაშვილს გადავაყენებო — სად არის ეს ხელმოწერები?! მჟავანაძეს რომ გაუჭირდება, ისიც ჩემთან გამოიქცევა, დამიცავიო. ნაციონალური მოძრაობის წევრებიც ჩემთან მორბიან, „ქართული ოცნებაც“, ლეიბორისტებიც... მე უფლებადამცველი ვარ და ადამიანებს პოლიტიკური ნიშნით ვერ დავყოფ. რა არ იკადრა „ოცნებამ“, რომ ასოციაციის თავმჯდომარე არ გავმხდარიყავი — ადვოკატებს ფინანსური პოლიციიდანაც კი ურეკავდნენ... ვიდრე ცოცხალი ვარ, ვერ დავუშვებ, ადვოკატთა კორპუსს ხელისუფლება მართავდეს. როცა სააკაშვილის რეჟიმს ვუპირისპირდებოდი და პროტესტის ნიშნად, ხელებზე ბორკილებს ვიდებდი, სად იყო მაშინ ნიკოლოზ მჟავანაძე? ასოციაციის თავმჯდომარე რომ გავხდი, მაშინ 3-ოთახიან ბინაში ვიყავით, დღეს კი 4-სართულიანი შენობა გვაქვს.**

2-სართულიანი შენობა გავხსენით ქუთაისშიც, ახლა ბათუმშიც ვაპირებთ. ეტყობა, ის ვერ აიტანეს, ფული სახლში რომ არ მიმაქვს და არ ვიპარავ. პირიქით, ასოციაციის თავმჯდომარეობა ჩემთვის ფინანსური კატასტროფაა! ალბათ, უნდათ, ისევ 100 ადვოკატი ჩაყარონ ციხეში, მაგრამ არ დავუშვებ, პოლიტიკური სიმპათიის მიუხედავად, რომელიმეს თავიდან თმა ჩამოუვარდეს... 4000 ადვოკატს წარმოვადგენ, ბევრ მინისტრზე დიდი ძალაუფლება მაქვს. თუ ნიკოლოზ მჟავანაძეს 100-ობით კაცი უჭერს მხარს, ამდენივე ხელმოწერა წარადგინოს. არ მინდოდა, ეს მეთქვა, მაგრამ მაქვს ინფორმაცია, რომ მან რამდენიმე ადვოკატს ხელი ცარიელ ფურცელზე მოაწერინა და დღეს ამ ხელმოწერებს სათავისოდ იყენებს. ამაზე ადვოკატების 2 ოფიციალური განცხადება უკვე მაქვს. არ მინდა, წინასწარ რაიმეს თქმა, მაგრამ ეს უკვე სისხლის სამართლის დანაშაულია. სხვათა შორის, ცოტა ხნის წინ ადვოკატი ბირკაია მიპირისპირდებოდა და ასოციაციიდან გააგდეს. მოვიწვევ კრებას და ის გადაწყვეტს, ასოციაციას მე დავტოვებ თუ ის, ვინც მიპირისპირდება“.

ალბათ, ერთი „რუის-ურბნისის კრება“ ადვოკატთა ასოციაციასაც არ აწყენდა. პოლიტიკურ განცხადებებსა და არაოფიციალურ მმართველებზე რომ არაფერი ვთქვათ, ჯერ მარტო იმ ადვოკატმა როგორ უნდა დაგიცვას, ვისაც თავად ვერ გაუგია, ხელს რაზე აწერს. ასეა თუ ისე, ასოციაციის თავმჯდომარის არჩევნები რამდენიმე თვის წინ იყო და ჩანს, ვადამდელი არჩევნების ჩატარება მხოლოდ ზაზა ხატიაშვილის გადაყენებითაა შესაძლებელი. თუმცა, ადვოკატთა კორპუსს ძირეული ცვლილებების ტალღა თუ არ გადაუვლის, არც იმას აქვს მნიშვნელობა, ვინ იქნება ახალი თავმჯდომარე!

ვერსიანიუსი

პრემიერის ინიციატივით, საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველებისთვის ონლაინსკოლა გაიხსნება

ირაკლი ღარიბაშვილის ინფორმაციით, ახალი გლობალური ქსელი Tanamemamule.ge-ით საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველები ერთმანეთთან კონტაქტის დამყარებას შეძლებენ: **„კიდევ ერთხელ გამოვხატავთ საზღვარგარეთ მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების პატივისცემასა და სიყვარულს. ისინი საქართველოდან შორს ცხოვრობენ, მაგრამ სამშობლოს განუყოფელი ნაწილი არიან. ჩვენ გვაქვს ახალი სტრატეგია – მეტი კომუნიკაციის მიზნით, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით შეიქმნა თანამემამულეთა გლობალური ქსელი, რომლითაც შესაძლებელია ზუსტი მონაცემების ეფექტიანად შეგროვება. ამავე ქსელის ფარგლებში შეიქმნა ონლაინსკოლა. ამით საშუალება მიეცემათ ჩვენ თანამემამულეებს, ონლაინრეჟიმის გაკვეთილებით შეისწავლონ ქართული ენა, ლიტერატურა. ეროვნული თვითშეგნების შენარჩუნებაში უდიდეს როლს ასრულებს საქართველოს ეკლესია. მინდა, განსაკუთრებით გამოვყო და აღვნიშნო მათი როლი“.**

ღარიბაშვილისვე განცხადებით, ყველა პირობა უნდა შეიქმნას, რომ საზღვარგარეთ მცხოვრებმა ქართველებმა საკუთარ სახლში თავი კომფორტულად იგრძნონ.

როგორც პრემიერმა აღნიშნა, უცხოეთში მცხოვრები ქართველები, საქართველოში ინვესტირების შემთხვევაში, შეღავათებით ისარგებლებენ: **„მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და დავავალო მთავრობის ეკონომიკურ გუნდს, დაუყონებლივ დაიწყონ ფიქრი და მუშაობა ჩემს ინიციატივასთან დაკავშირებით, რომელიც ქართული დიასპორისთვის ინვესტიციების კუთხით ფინანსური შეღავათების შემოღებას გულისხმობს“.**

„პირველი“

პოროშენკოს ქართველი მრჩევლები, ანუ ლაშატე მი კანტარე უკრაინულად

გიორგი იაშვილი

ვერც ციხეში ჩასმამ და ვერც საერთაშორისო მხარდაჭერამ უშველა იულია ტიმოშენკოს და მისი საპრეზიდენტო ამბიციაც თამამად შეიძლება წარსულს ჩავაბაროთ. უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნებში „შოკოლადის მეფემ“, პეტრე პოროშენკომ გაიმარჯვა. პოროშენკოს „შოკოლადის მეფე“ უკრაინაში ყველაზე დიდი შოკოლადის ქარხნის, „როშენის“ მფლობელობის გამო შეარქვეს. ერთის მხრივ, ცუდი არ არის, როცა პრეზიდენტად მილიარდერი მოდის. იმის იმედი მაინც გექნება, თვეში 40 ათას ლარზე (ამ შემთხვევაში გრივნაზე) ჭკუა არ გადაეკეტება და ამომრჩევლის გულის გასახეთქად ასეთ პრემიას არ გამოიწერს; მეორეს მხრივ კი პოროშენკომ არჩევიდან რამდენიმე საათში განაცხადა, მრჩევლად საქართველოს მოქალაქე მეყოლებაო. ეს ამბავი გაციებულიც არ იყო, გაირკვა, უკრაინის ახალ პრეზიდენტს ერთი კი არა, ერთბაშად, საქართველოს ორი მოქალაქე ეყოლება მრჩევლად — მიხეილ სააკაშვილი და კახა ბენდუქიძე.

კაცია და გუნება, ჩვენც რა უფლება გვაქვს, უკრაინის პრეზიდენტის არჩევანში ჩავერიოთ, თუმცა სერიოზული ეჭვი გვაქვს, გამოთქმას — „ჯერ მწარე ჭამე, კვლავ ტკბილი“, დიდი კითხვის ნიშანი დაესმის. შოკოლადის მეფეს ტკბილი არ უნდა უკვირდეს და მწარე რა არის, შევეცდებით, ავხსნათ.

ჯერ ბენდუქიძის ვთქვათ და სააკაშვილი „როშენის“ შოკოლადის კრემიანი შიგთავსივით, ჩაროზად შემოვინახოთ. უკრაინულად „იუდა“ როგორ გამოითქმის, ვერ გეტყვით, მაგრამ ალბათ, ზუსტად ისევე ჟღერს, როგორც ქართულად. შესაბამისად, უკრაინელ ამომრჩეველს ბევრი ვარჯიში არ დასჭირდება, ინტერნეტში ნახავს ქართველთა გამოსვლებს და იმასაც, როგორ მიაბიჯებდა ერთ დროს ეკონომიკის მინისტრი ბენდუქიძე ფურთხის წვიმაში და როგორ არ ანაღვლებდა ეს ამბავი. უკრაინის მიწებს, რომელზეც იმდენი ხორბალი მოჰყავთ, ეს ქვეყანა მსოფლიო ხორბლის ბაზარზე ერთ-ერთი სერიოზული მოთამაშეა, ბურები, ჩინელები და ინდუსები დაეპატრონებიან (სამაგიეროდ, ბიუჯეტი შეივსება), უცხოელებზე გაიყიდება მოქმედი, გაჩერებული ქარხნები კი გასხვისდება. ამომრჩეველი ამის გამო გადაირევა და აქციებს გამართავს, ამ დროს კი საქმეში უკვე სააკაშვილი ჩაერთვება.

მრჩევლად მიხეილ სააკაშვილის დანიშვნის შემთხვევაში, პოროშენკოს კარის მომღერალი გახდება რუსლანა. კიევში წელიწადში ორჯერ აუცილებლად ჩავა ტოტო კუტუნიო (აი, კუტუნიო როგორ არის უკრაინულად, ნამდვილად არ ვიცი) და „ლაშატე მი კანტარე“ ჰიტი გახდება. პერიოდულად, ჩავლენ სტინგი, ბოჩელი, მამა-შვილი იგლესიასი და 2019 წლისთვის

ანუ 5 წელიწადში უკრაინა ომს გამოუცხადებს რუსეთს. გაგანია ომის დროს მაიდანზე კონცერტი გაიმართება. უკრაინა ტერიტორიების დიდ ნაწილს დაკარგავს, მაგრამ ყველას ეცოდინება, რომ ეს ომი მოგებულია. ქუჩაში დაიწყებენ ახალგაზრდების დახვრეტას და, როცა უკრაინის შს მინისტრს ვინმე არ მოეწონება, რომელიმე სასაფლაოზე მოკლავენ. დაიწყება სატელევიზიო ტელედაჭერები, ადამიანებს ოჯახებში შეუცვივდებიან და პერანგისა და მისი ამხანაგის ამარა არბენინებენ.

დაიწყება საყოველთაო მოსმენები და რადაში იქნება მართული ოპოზიცია, ხოლო მინისტრებად მოვლენ იმდენად ახალგაზრდები, პოროშენკოს საბავშვო ბაღის გამგის ფუნქცია უფრო ექნება. პოროშენკო აუცილებლად იყიდის ახალ თვითმფრინავს და ამერიკაში ჩასული, ბარაკ ობამას კიბესთან დაელოდება ხელის ჩამოსართმევად. მას პუტინი დაემუქრება ერთი ადგილით დაკიდებით და ამით უკრაინის პრეზიდენტი ძალიან იხალისებს. რუსეთი უკრაინული პროდუქციისთვის დახურავს ბაზარს და პოროშენკოს შოკოლადები ევროპას დაიპყრობს. მერე რა, რომ ევრობაზარზე ფეხის მოკიდება უკრაინულ პროდუქციას გაუჭირდება, მთავარი ხომ ქვეყნის ინტერესები იქნება, იმ ქვეყნისა, რომელსაც დიდი ნაწილი უკვე ჩამოაჭრეს და მრჩევლად სააკაშვილის დანიშვნის შემთხვევაში, მეორე ოკუპაცია 2019 წელს ანუ ხუთ წელიწადში ელის.

რადაში მმართველი გუნდის წევრები მონოპოლიას აიღებენ ყველა ბიზნესზე და ურჩი ბიზნესმენები მოხვდებიან ადგილობრივ ციხეებში, სადაც მათ ცოცხებითა და ხელკეტებით გაუმასპინძლდებიან. პატიმართა რაოდენობა უპრეცედენტოდ მაღალი იქნება, ხოლო მოსახლეობის 10% პრობაციონერი გახდება. უკრაინა ძალუმად გააგრძელებს ნატო-ს კარზე კაკუნს და ხელებს გადაიტყავებს. ანდერს ფოგი (რასმუსენი) ან მისი შემცვლელი იტყვის, რომ ნატო-ს კარი უკრაინისთვის ღიაა, მაგრამ იქ შესვლა ჯერ არ ხერხდება. ევროკავშირი სრულ მხარდაჭერას გამოუცხადებს უკრაინას, რაც, ძირითადად, შეშფოთებაში გამოიხატება. უკრაინის თავდაცვის მინისტრი წავა ოპოზიციაში, მერე კი საერთოდ ქვეყანას დატოვებს და ვითარების გაკონტროლებას პარიზიდან ან მიუნხენიდან შეეცდება, რასაც ქუჩაში ხალხის გამოსვლა და ამ ხალხის დარბევა მოჰყვება.

პოროშენკოს ესკორტის გადაადგილების დროს გადაიკეტება ქუჩები, ხოლო სუში-ბარებთან მუდმივად იმორიგეებს სახელმწიფო დაცვის სამსახური, რათა პრეზიდენტს სადილობა დასცალდეს. პოროშენკო გაიკეთებს ეპილაციას, ლიპოსაქციას, დოქტორ დოტის მასაჟებს და მისი საბანკო ანგარიში იმაზე მეტი იქნება, ვიდრე ოდესმე შეეძლო წარმოედგინა. პოროშენკოზე იტყვიან, რომ რომანი აქვს არაერთ ცნობილ სახესთან. იტყვიან იმასაც, რომ მთავრობის წევრებს დედას აგინებს და თვითმფრინავიდან გალეშილი მთვრალი მანამ არ ჩამოდის, სანამ დედას არ მოუყვანენ.

უახლოესი ორი წელი სასიცოცხლოდ სახიფათო იქნება უკრაინის პრემიერ-მინისტრისთვის და დიდი შანსია, სადმე გარდაცვლილი იპოვონ. შინაგან საქმეთა მინისტრი ნახევარ საათში იტყვის, რომ პრემიერი მაიდანზე დანთებული საბურავების კვამლით გაიგუდა და ამავე დასკვნას დაეთანხმება საგანგებოდ მოწვეული ექსპერტი. შეიქმნება ზონდერჯგუფები, რომლებიც მუდმივად იმუშავებენ ხალხის დაშინებასა და ცემაზე. რადას წევრებს ქუჩაში სასიკვდილოდ გაიმეტებენ და სამაგალითოდ სცემენ. უკრაინის საგარეო ვალი იმ ნიშნულს მიაღწევს, რომ მის გადახდას ამ საუკუნეში ვერ მოახერხებენ. აშენდება ახალი ქალაქი, რომელსაც „ოდესიკა“ ან „კიევიკა“ ერქმევა. ოდესა დაემსგავსება ნიცას, კიევი უფრო ლამაზი იქნება, ვიდრე ნიუ იორკი, ხოლო უკრაინული ღვინო მსოფლიოში საუკეთესო გახდება, თუმცა ეს საუკეთესობა ფასზე არანაირად არ აისახება.

ამ სიის გაგრძელება დაუსრულებლად შეიძლება, მაგრამ სადმე წერტილი ხომ უნდა დავსვათ?! ეს ყველაფერი სულ რაღაც 9 წელი გაგრძელდება, მერე კი ჩატარდება მორიგი არჩევნები და რადა კოჰაბიტაციის რეჟიმში გადავა. პოროშენკო საცხოვრებლად ევროპას აირჩევს, წაიკითხავს ლექციებს, მერე კი რომელიმე პოსტსაბჭოთა ქვეყნის პრეზიდენტი მრჩევლად მიიწვევს. რა ელის იმ ახალ ქვეყანას, უკვე მოგახსენეთ.

P.S. ვინმემ იცის, უკრაინულად როგორ ჟღერს „ასფალტი ვჭამოთ?!“

ნოვაცია

მაია მიშელაძე
593-51-90-12

რა შეღავათებით სარგებლობენ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები?

რამდენად არის დაინტერესებული ქართველი ფერმერი კოოპერატიულ გაერთიანებაში გაწევრიანებით? რა სარგებელს მიიღებს კოოპერაციის შემდეგ და როგორ აპირებს სახელმწიფო, გლეხებს გაერთიანებასა და გაძლიერებაში დაეხმაროს? სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტომ, 2014 წლის 27 იანვარს, კოოპერატივებისთვის სტატუსის მინიჭების შესახებ განაცხადა, თუმცა რეალურად, პროცესი მარტიდან, მას შემდეგ გააქტიურდა, რაც სააგენტომ უცხოელ პარტნიორებთან ერთად, აგრარული კოოპერატივისთვის სპეციალური სარეკომენდაციო წესდება შეიმუშავა, რომელიც კოოპერატივის წევრებს შორის კომერციულ და სამართლებრივ საკითხებს არეგულირებს.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარის, **გიორგი მიშელაძის** თქმით, დღეს უკვე სააგენტოს ნუსხა 55 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს ითვლის. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სტიმულირების მიზნით, სახელმწიფო ახორციელებს მხარდამჭერ პროგრამებს. აგრარული კოოპერატივების განვითარების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ფერმერები საგადასახადო შეღავათებით სარგებლობენ:

„უკვე გვაქვს კონკრეტული შემთხვევები, როცა კოოპერატივმა, მხოლოდ იმიტომ, რომ სტატუსი ჰქონდა მინიჭებული, შეღავათით ისარგებლა. კონკრეტულად, შიდა ქართლში, სოფელ შავშვებში არსებულმა კოოპერატივმა „წიქარამ“, პოლონეთის მთავრობის მიერ დაფინანსებული პროექტის — „სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის ინოვაცია შავშვების რეგიონში“, საჩუქრად მიიღო 16 517 ევროს ღირებულების ტექნიკა. იმის გამო, რომ კოოპერატივ „წიქარას“ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსი ჰქონდა, მიღებული ტექნიკა გრანტად ჩაეთვალა და საბაჟო გადასახადისგან გათავისუფლდა, რამაც თანხობრივად 8 384 ლარი შეადგინა“, — განუცხადა „ვერსიას“ გიორგი მიშელაძემ.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსი „წიქარას“ 2014 წლის მარტში მიენიჭა და კოოპერატივი 22 წევრს აერთიანებს. საქმიანობის სფეროებია: მემარცვლეობა, მეცხოველეობა. გიორგი მიშელაძის განმარტებით, ასეთი ფაქტებისა და აქტიური საინფორმაციო კამპანიის შედეგად, რომელსაც სააგენტო ქვეყნის მასშტაბით ახორციელებს, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მიმართ დამოკიდებულება თანდათან

იცვლება: **„ჩვენ დიდი ძალისხმევა დაგვჭირდა, რომ მეტნაკლებად შეგვეცვალა მიდგომა. რასაც ჩვენ ვთავაზობთ გლეხკაცს, ე.წ. კოლხოზთან საერთო არაფერი აქვს“,** — აცხადებს გიორგი მიშელაძე.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი „აგროაპი“ პირველია, რომელმაც არსებული სკეპტიციზმის მიუხედავად, სხვა ქვეყნების გამოცდილებით იხელმძღვანელა და მოიპოვა სტატუსი. 2010 წლიდან, „აგროაპი“ გურჯაანის რაიონის სოფელ ვაზისუბანში, ჩვეულებრივი კოოპერატივის სამართლებრივი ფორმით ფუნქციონირებდა, თუმცა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ კანონის მიღების შემდეგ, მაშინვე გადაწყვიტა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოსთვის სტატუსის მიღების მოთხოვნით მიემართა:

„დიდი ხნის განმავლობაში ვსწავლობდით სხვა ქვეყნების გამოცდილებას და აქტიურად ვიყავით ჩართულნი კანონპროექტის შემუშავების პროცესში. ამ მიმართულებით ფერმერებთან მჭიდროდ თანამშრომლობდა სოფლის მეურნეობის სამინისტრო და პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტი. სასოფლო სამეურნეო კუთხით დაგრილმა გამოცდილებამ განაპირობა ის, რომ „აგროაპი“ იყო პირველი, რომელმაც გადაწყვიტა, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი შეექმნა. სამი წლის წინ, საქმიანობა მეფუტკრეობით დავიწყეთ და სწორედ აქედან გამომდინარეობს კოოპერატივის სახელიც, აგრო — ყველასთვის გასაგებია, რას ნიშნავს, აპი კი მეფუტკრეობას გულისხმობს. დღეისთვის, „აგროაპი“ 28 წევრს აერთიანებს, საპაიე ფონდი კი 84 000 ლარია. კოოპერატივში მეპაიეები შემოვიდნენ როგორც ნაღდი ფულით, ასევე — მეფუტკრეობისთვის საჭირო დანადგარებით. ზოგი სკით, ნაწილი ფუტკრის ოჯახებით გაერთიანდნენ, ერთ-ერთმა მეპაიემ ავტომობილი შემოიტანა, რომლითაც კოოპერატივის წევრები სარგებლობენ. გვაქვს ფრანგული და გერმანული წარმოების დანადგარები, თანდათან იზრდება დაინტერესება ადგილობრივ მოსახლეობაში. ერთი მკვიდრი აპირებს შენობა-ნაგებობით შემოვიდეს კოოპერატივში, სადაც საფუტკრე მეურნეობის ბაზა განთავსდება და პროდუქცია გადამუშავდება. მეფუტკრეობა მხოლოდ თაფლის წარმოებას არ ნიშნავს, დაახლოებით შვიდი სახეობის პროდუქტის მიღებაა შესაძლებელი. ამ ეტაპზე ფუტკრის შხამის, ფუტკრის რძის, დინდგელისა და ცვლის წარმოებას ვგეგმავთ. სწორედ ეს არის კოოპერაციის მთავარი ხიბლი, როდესაც ფინანსური, ფიზიკური და ინტელექტუალური რესურსების გაერთიანების შედეგად, დანახარჯები მცირდება, პროდუქტიულობა და შემოსავლები — იზრდება. მეფუტკრეობა დღესაც რჩება ჩვენი საქმიანობის ძირითად მიმართულებად, თუმცა მომავალში გაფართოებასა და სხვა დარგების განვითარებასაც ვგეგმავთ. სტატუსის მიღების შემდეგ, ჩვენ უკვე ვსარგებლობთ დადგენილი საგადასახადო შეღავათებით. სანამ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსს მივიღებდით, ქონების გადასახადს ვიხდიდით, ახლა კი 2017 წლამდე, თითქმის ყველა გადასახადისგან ვართ გათავისუფლებული და მეტიც, გრანტის მიღების უფლებაც გვაქვს“, — გვიამბობს „აგროაპის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, დეკანოზი აბრაამ სოლომნიშვილი

ფერმერებს სახელმწიფო მხარდაჭერის იმედი აქვთ. თავის მხრივ, სასოფლო- სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო, სამომავლოდ ხელშემწყობი ღონისძიებების გაფართოებას გეგმავს. გიორგი მიშელაძის განცხადებით უკვე მიმდინარეობს მუშაობა სახელმწიფო პროგრამებზე, რომლებიც კოოპერატივებს განვითარებაში დაეხმარება. სააგენტოს მუდმივად აქვს კომუნიკაცია სტატუსის მქონე კოოპერატივების წევრებთან. პერმანენტულად ხდება ინფორმაციის გაცვლა. უკვე ამოქმედდა სააგენტოს ვებგვერდი www.acda.gov.ge, სადაც შესაძლებელია ყველა მათგანზე ინფორმაციის მოძიება და სამომავლო პარტნიორობის დაგეგმვა, მათ შორის, თავად კოოპერატივებს შორის.

შეუსრულებელი პუნქტები შრომით კანონმდებლობაში

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

რაცომ ირღვევა დასაქმებულთა უფლებები და დაიცავს თუ არა მათ შრომითი ინსპექცია?!

პროფესიული კავშირის გაერთიანების მონაცემებით, ბოლო 6 წლის განმავლობაში, საქართველოში სამუშაო ადგილზე 273 ადამიანი დაიღუპა, 500-მდე კი მძიმედ დაშავდა. პროფკავშირები ქვეყანაში შრომის ინსპექციის გაუქმებას აპროტესტებენ და კანონმდებლობაში შესაბამისი ცვლილებების გატარებას ითხოვენ. გაერთიანების თავმჯდომარის, ირაკლი პეტრიაშვილის განმარტებით, ეკონომიკის სამინისტროში არსებული ტექნიკური ზედამხედველობის ინსპექცია მუშაობის მხოლოდ ტექნიკურ მხარეს ამოწმებს და შრომითი რესურსის, სამუშაო პირობების შემოწმება არ ევალება. შრომის ინსპექციის შექმნას კი, პეტრიაშვილის ინფორმაციით, ეკონომიკური გუნდი იმ მოტივით ეწინააღმდეგება, თითქოს შრომის უსაფრთხოების მაღალი სტანდარტის შექმნის მოთხოვნა ინვესტორებს დააფრთხობს. „ვერსია“ პროფკავშირის გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილეს, გოჩა ალექსანდრიას ესაუბრა.

– ბატონო გოჩა, საქართველოში შრომითი რომელი უფლებები ირღვევა?

– შრომით კანონმდებლობაში შარშან პოზიტიური ცვლილებები შევიდა (სამუშაო დროსთან, შრომით კონტრაქტებთან, ზეგანაკვეთურ სამუშაოსთან, მძიმე პირობებში მომუშავეებისთვის შეღავათებთან დაკავშირებით), მაგრამ ის რეალურ ცხოვრებაში არ ტარდება — კვლავ გამოიყენება მოკლევადიანი კონტრაქტები სხვათა შორის, სახელმწიფო საწარმოებშიც, მაგალითად საქართველოს ფოსტაში. ზეგანაკვეთური ანაზღაურება (40 საათიდან) არ რიგდება ისეთ საწარმოებში, როგორიცაა მაგალითად „საქართველოს რკინიგზა“, სადაც დაახლოებით 13 ათასი კაცია დასაქმებული. ანალოგიური ვითარებაა კერძო საწარმოებში. მავნე, მძიმე პირობებში მომუშავეთათვის დაწესდა 10-დღიანი დამატებითი, კალენდარულად ანაზღაურებადი შვებულება, რასაც ბევრი საწარმოს ხელმძღვანელობა არ ასრულებს. სადაც ორგანიზაცია გვაქვს, ვცდილობთ, ადმინისტრაციას ეს მოთხოვნები გავატარებინოთ, თუმცა ყველგან მაინც ვერ ვაღწევთ მიზანს. მაგალითად, რკინიგზაში და ამ საკითხზე საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას ველოდებით. პრობლემაა ასევე მუშებთან კოლექტიური მოლაპარაკებები, პროფკავშირების შექმნა.

– ისეთი საკითხები თუ არსებობს, რაც თქვენი მოთხოვნის მიუხედავად, შრომით კანონმდებლობაში არ დაფიქსირდა?

– ქალთა შრომითი უფლებების კუთხით, არანაირი მნიშვნელოვანი ცვლილება არ შესულა კანონში, მხოლოდ დეკრეტული შვებულება გახანგრძლივდა და ანაზღაურება 600-დან 1000 ლარამდე გაიზარდა. ეს შრომის საერთაშორისო კონვენციის მოთხოვნებს ჩამოუვარდება. ანაზღაურებადი შვებულების ოდენობა არ უნდა იყოს ხელფასის ორ მესამედზე ნაკლები, ჩვენთან კი მოჭრილი 1000 ლარით მთავრდება ყველაფერი. ეს არაა საკმარისი თანხა და ხშირად, ქალბატონები, ხელფასი რომ არ დაკარგონ, იძულებულები არიან, მშობიარობიდან 1-2 კვირაში დაბრუნდნენ სამსახურში; ასევე არ არიან დაზღვეულნი, დეკრეტული შვებულებიდან გამოსვლის შემდეგ სამსახურიდან არ დაითხოვენ. მოვითხოვდით, საერთაშორისო სტანდარტი დაწესებულიყო და ქალბატონები ასეთი დისკრიმინაციისგან დაგვეცვა.

კიდევ ერთი პრობლემა — ახალგაზრდების შრომასთან დაკავშირებით შრომით კანონმდებლობაში ძალიან ცოტა რამ წერია; მხოლოდ ერთი თავი ეძღვნება შრომით უსაფრთხოებას. წერია, რომ დამსაქმებელი ვალდებულია, შექმნას უსაფრთხო სამუშაო გარემო და დასაქმებულს სრულად აუნაზღაუროს ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზარალი, რაც რთულად განსახორციელებელია — ერთადერთი მექანიზმი სასამართლოა — კომპენსაციის მისაღებად დაზარალებულმა დამსაქმებელს სასამართლოში უნდა უჩივლოს და ვინ იცის, როდის დასრულდება ეს ძვირადღირებული პროცესი, არადა ევროპის ქვეყნებში არსებობს შრომის უსაფრთხოების, უბედური საწარმოო შემთხვევის დაზღვევა, რომელიც დასაქმებულს ან მის ოჯახს კომპენსაციას ავტომატურად უხდის.

სერიოზული დარღვევაა შრომის ბაზრის ინსტიტუტების კუთხითაც. დღემდე არ არსებობს შრომის ინსპექცია, რომელიც ნორმალურ ქვეყნებში შრომით უსაფრთხოებას აკონტროლებს. შრომის სამინისტრო ცდილობს, რაღაც გამოასწოროს, მაგრამ ფაქტია, კოდექსში ცვლილებების შეტანიდან ერთი წელი გადის და ამ კუთხით საქმე ჯერ ვერ დაიძრა.

– შრომითი კოდექსის მოთხოვნები რატომ ვერ სრულდება, ან რა არის გამოსავალი?

– მთავარი მიზეზი შრომის ინსპექციის არარსებობაა — სწორედ ასეთი ინსპექცია რეაგირებს დასაქმებულის ნებისმიერ სიგნალზე, არ აქვს მნიშვნელობა, ადამიანს ერთწლიანი ან უვადო ხელშეკრულების ნაცვლად 3-თვიანი გაუფორმეს თუ მძიმე პირობებში მომუშავეს, ანაზღაურებადი შვებულების 10 დღე არ დაუმატეს... შრომითი ინსპექცია ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტია, რომელიც შრომითი კანონმდებლობის ცხოვრებაში გატარებას უზრუნველყოფს.

— საქართველოში რატომ არ იქმნება შრომის ინსპექცია და ამ თემაზე მთავრობის პოზიცია თუ იცით?

– შრომისა და ჯანდაცვის სამინისტროში ფიქრობენ, ასეთი ინსპექცია შეიქმნას, მაგრამ წელიწადზე მეტია ამ საკითხს ეკონომიკის სამინისტრო ბლოკავს. ეკონომიკური გუნდი მიიჩნევს, რომ შრომის ინსპექციის შექმნა ინვესტორებს დააფრთხობს, არადა გვაქვს გერმანიის, საფრანგეთის, იტალიის, დანიის, შვედეთის, აზიის ქვეყნების... მაგალითი — სადაც ეს ინსპექცია ეფექტურად ფუნქციონირებს და შრომის ბაზრის ინსტიტუტებიც კარგად მუშაობს, მეტი ინვესტიცია შედის, რადგან თამაშის წესები განსაზღვრულია. ქვეყანაში ასეთი სისტემის არსებობა ცივილურობაზე მეტყველებს. მაისის დასაწყისში, სოციალური პარტნიორების პირველ სამმხრივ შეხვედრაზე ეს საკითხი დავსვით. პრემიერ-მინისტრმა ჩვენი მოსაზრება დადებითად შეაფასა, აღნიშნა, სამინისტრო ამ იდეაზე უკვე მუშაობს, საკითხი დაიძვრება და შესაძლოა, წლის ბოლოსთვის შრომის სახელმწიფო ინსპექცია შეიქმნას კიდეცო.

„უფასო წიგნები ერთჯერადი პიარაქცია იყო“

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

რამდენი მილიონი ღარია საჭირო სასკოლო სახელმძღვანელოების პროექტის გასაგრძელებლად და რა შემთხვევაში აღმოჩნდებიან მოსწავლეები არათანაბარ პირობებში

სასკოლო სახელმძღვანელოების ირგვლივ საუბარი და განსხვავებული შეფასებები არ წყდება. საგანმანათლებლო კვლევების ცენტრის ხელმძღვანელის, **ტარას შავშიშვილის** განცხადებით, 2013-2014 სასწავლო წლის დასაწყისში სასკოლო სახელმძღვანელოების დარიგება ერთჯერადი პიარაქცია იყო და განათლების სამინისტროს კარგად არ ჰქონდა გააზრებულ-გათვლილი, პროცესი მომდევნო წლებში როგორ გაგრძელებულიყო: **„სამინისტრომ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ მომდევნო სასწავლო წლის დასაწყისშიც სახელმძღვანელოები უფასოდ დარიგდეს. არსებობს დიდი რისკი, მოსწავლეები არათანაბარ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან — მიმდინარე წლის ბოლოს ჩასაბარებელი სახელმძღვანელოების დიდი ნაწილი უვარგისია. ამ ფონზე, არაა გამორიცხული, სწორედ ეს უვარგისი წიგნები დაურიგონ მოსწავლეები ნაწილს. სამწუხაროდ, სახელმძღვანელოების საკითხი პირველივე წელს გაუთვლელი და დაუგეგმავი იყო“.**

შავშიშვილის განმარტებით, განათლების სამინისტრომ რაც უნდა გააკეთოს, მოქალაქეები ან სახელმწიფო დაზარალდება. კერძოდ, სამინისტრო წლის ბოლოს იბარებს მხოლოდ ვარგის წიგნებს, დაზიანებულ სახელმძღვანელოებში კი მშობლებს ფულს ახდევინებს, რაც, შავშიშვილის აზრით, უსამართლობაა, რადგან წიგნები უხარისხოა: **„ბიუჯეტის ხარჯვის არამიზნობრიობის საკითხი დგება — უხარისხო წიგნების ბეჭდვა არარენტაბელურია სახელმძღვანელოების ცირკულაციის უკვე დამკვიდრებული სისტემისთვის. სამინისტრო იბარებს ყველანაირ, მათ შორის დაზიანებულ წიგნს და მომდევნო წლის დასაწყისში ანაწილებს მოსწავლეებზე. ბუნებრივია, ამ დროს მოსწავლეთა ნაწილს დაზიანებული წიგნები შეხვდება, რაც მათ არათანაბარ პირობებში აყენებს და სწავლის მოტივაციას სპობს“.**

აღმოჩნდებიან თუ არა მოსწავლეები ამ მხრივ არათანაბარ მდგომარეობაში? რა არის გამოსავალი და როგორ უნდა გაუმჯობესდეს სახელმძღვანელოების ცირკულაციის სისტემა? ამის გასარკვევად „ვერსია“ 53-ე სკოლის თანამდებობიდან სკანდალურად გათავისუფლებულ დირექტორს, განათლების დამოუკიდებელ ექსპერტს **მარიამ რამინაშვილს** დაუკავშირდა, რომლის სარჩელსაც სასამართლო ჯერ კიდევ განიხილავს. მისი განმარტებით:

„სასკოლო სახელმძღვანელოების მრავალჯერადი გამოყენების შეთავაზება მნიშვნელოვანი ინოვაციაა, თუმცა, იმავდროულად, შეიცავს გარკვეულ რისკებს და ამის ასაცილებლად აქტივობები თავიდანვე მკაცრად უნდა ყოფილიყო გააზრებული და გაწერილი. ერთ-ერთ პრევენციად შეიძლება განვიხილოთ სახელმძღვანელოების ჩაბარების კრიტერიუმები, თუმცა ეს არაა საკმარისი განსაკუთრებით მაშინ, როცა ეს ინიციატივა მრავალწლიანი პაუზის შემდეგ გააქტიურდა. სახელმძღვანელოს მნიშვნელოვანი როლი აკისრია მოსწავლეთა სასწავლო მოტივაციის ამაღლებაში და ლოგიკურად, ამაზე წიგნის ხარისხი მოქმედებს. აქედან გამომდინარე, რისკი, რომ მოსწავლეები არათანაბარ პირობებში აღმოჩნდებიან, ნამდვილად არსებობს; მეორე მხრივ, სასკოლო სახელმძღვანელოების გადაცემა, მით უმეტეს, მძიმე სოციალური ფონის გათვალისწინებით, აუცილებელია. როგორ უნდა გაუმჯობესდეს სისტემა? ჩემი აზრით, არაერთ გამოსავალს შორის, ერთ-ერთია თავისუფალ ბაზარზე გამომცემლობების არსებობა“.

დეპუტატი **სერგო რატიანი,** „ქართული ოცნების“ პროექტს „უცნაურს“ უწოდებს, რადგან მშობლებს თანხის გადახდა ახალ კი არა, ძველ სახელმძღვანელოებში უწევთ. მისი თქმით, შკალა, რომლითაც ჩაბარებისას წიგნები ფასდება, ბუნდოვანია და არასამართლიანია. რატიანი განათლების სამინისტროს და ზოგადად, მთავრობას მიმართავს, უფასო სახელმძღვანელოებთან დაკავშირებით მიცემული დაპირება შეასრულოს: **„მარგველაშვილმა საპრეზიდენტო არჩევნების წინ გამოაცხადა, რომ მოსწავლეები სახელმძღვანელოებს უფასოდ მიიღებენ. ახალი წიგნები მართლაც უფასოდ დარიგდა, მაგრამ მოგვიანებით, მიიღეს ბრძანება, რომ მშობლებმა გადაიხადონ დაზიანებული სახელმძღვანელოების საფასური. ექსპერტთა ვარაუდით, წლის ბოლოს ძალიან ბევრი დაზიანებული წიგნი დაგროვდება და თანხის გადახდა ბევრს მოუწევს, გარდა ამისა, გაისად ახალი წიგნებით მოსწავლეთა უმრავლესობა ვერ ისარგებლებს“.**

ამ ფონზე, განათლების მინისტრი **თამარ სანიკიძე** აცხადებს, რომ სასკოლო წიგნები კვლავ უფასო იქნება და შარშან დაწყებული პროგრამა აუცილებლად გაგრძელდება. განათლების სამინისტროში ადასტურებენ, რომ მშობლებს თანხის გადახდა მოუწევთ იმ წიგნებში, რომლებიც სასწავლო წლის ბოლოს უვარგისი იქნება, სახელმძღვანელოს მკვეთრად დაზიანების შემთხვევაში კი, ვალდებული იქნება ახალი სახელმძღვანელო შეიძინოს და ჩააბაროს.

2013-2014 სასწავლო წლის სასკოლო სახელმძღვანელოების ბეჭდვა სახელმწიფოს 16 323 630, 30 ლარი დაუჯდა. რა თანხას გამოყოფს განათლების სამინისტრო წელს, უცნობია. თამარ სანიკიძის განმარტებით: **„სახელმძღვანელოების დასაბეჭდად, სავარაუდოდ, 18 მილიონი ლარია საჭირო, თუმცა ზუსტი თანხის დასახელება შეუძლებელია, რადგან სპეციალისტები ჯერ კიდევ ანგარიშობენ“.**

სუდოკუმანია

ადვილი

1			2					5
		6		4		8		
2			7	1			4	
		3			5		1	
		7				4		
	1		9			3		
	5			3	7			4
		1		5		6		
6					4			8

სტანდარტი

2	1	9			4			
		6	3		9		4	
9			7				5	1
		4		6		3		
3	2				5			7
	8		5		1	7		
			2			6	1	5

რთული

		2		9	8			
	3							
			7		3	1	4	
			9	8		3	2	
	2			1			7	
	9	8		7	2			
	7	4	8		1			
							6	
			4	2		5		

ექსპერტი

		9		8				
5			3		1			
				4			2	1
	3		1	2				
	2						8	
				6	4		5	
4	6			1				
			6		7			5
				3		7		

სახელს დევიზით ცვლის

აშშ-ს ქალაქ სიონის მცხოვრებმა სასამართლოს მიმართა თხოვნით, სახელი ამერიკის შეერთებული შტატების დევიზით შეუცვალონ. 57 წლის სტივ კროიშირს სურს, In God We Trust („უფლის იმედი გვაქვს") ერქვას. ამ წინადადებიდან In God — სახელი იქნება, We Trust კი გვარი. სასკოლო ავტობუსის მძღოლი და თვითნასწავლი მხატვარი კროიშირი ამ უცნაურ სურვილს იმით ხსნის, რომ აშშ-ს დევიზი საუკეთესოდ ასახავს მისი ცხოვრების ისტორიას; ამბობს, უფლის რწმენა მასთან მხოლოდ უამრავი განსაცდელის შემდეგ მივიდა — ცოლს გაშორდა, კარგა ხანს უფულოდ იყო და დეპრესიაც ტანჯავდა. კროიშირს სჯერა, ახალი სახელი მომავალში უბედურებისგან დაიცავს. იურისტები, თავის მხრივ ამბობენ, რომ არსებობს ზოგიერთი შეზღუდვა, რომლის გამოც სასამართლო არ რთავს ნებას ამერიკის მოქალაქეებს მათთვის სასურველი სახელი დაირქვან. ეს ეხება ცნობილი ადამიანების სახელებს ან დარეგისტრირებულ სავაჭრო მარკას. სპეციალისტები ეჭვობენ, ვინმეს სახელად იმ ლოზუნგის დარქმევის ნებას მისცემენ, რომელიც აშშ-ს ფულის ყველა ერთეულზე წერია.

„სასიკვდილო" ნომრისთვის ფული არ დაიშურა

ჰონგკონგელმა ქალმა 130 ათასი დოლარი გადაიხადა (ერთი მილიონი ჰონგკონგური დოლარი) საავტომობილო ნომერში 4444, მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთში რიცხვი 4, ტრადიციულად, სიკვდილს უკავშირდება და აქაურები შეძლებისდაგვარად თავს არიდებენ მის გამოყენებას. ფონეტიკურად სიტყვა „ოთხი" ჩინურში „სიკვდილის" იდენტურია. ბევრ საცხოვრებელ კორპუსში არ არსებობს მე-4 ან მე-14 სართულები. მიუხედავად ამისა, ჩინეთის სამხრეთით, ქალაქ ჩაოჩჟუს მცხოვრებლებში ციფრი 4 დიდი პოპულარობით სარგებლობს, რადგან აქაურ დიალექტზე წყალს ნიშნავს, ტრადიციული ჩინური წარმოდგენების მიხედვით კი, წყალი სიმდიდრის სიმბოლოა.

შვილის გაცდენისთვის მამა დააპატიმრეს

ოჰაიოს შტატის მცხოვრები ბრაიან ჯეგნერი საპატიმროში 180 დღეს იმის გამო გაატარებს, რომ მისი ქალიშვილი სკოლას ხშირად აცდენდა და მათემატიკის გამოცდა ვერ ჩააბარა. მამას „არასრულწლოვანისთვის სამართალდარღვევაში ხელშეწყობა" ედება ბრალად. 18 წლის ბრიტანი არ ესწრებოდა გაკვეთილებს და სასამართლომ მამას მოსთხოვა, გაეკონტროლებინა ქალიშვილის საგანმანათლებლო პროცესი, თვალყური ედევნებინა გამოცდებისთვის მზადებაში. სასამართლოს დადგენილება მეტად უსიამოვნო სიურპრიზი აღმოჩნდა ჯეგნერის ოჯახისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ქალიშვილზე მეურვეობა მას აქვს დაკისრებული, გოგონა დედასთან ცხოვრობს და თან 18 თვის შვილიც ჰყავს. მამამ განაჩენის გასაჩივრება გადაწყვიტა, ბრიტანი კი დაპირდა, რომ ტესტის ხელმეორედ ჩაბარებას შეეცდება. როგორც მოსამართლემ განაცხადა, თუ გოგონა გამოცდის ჩაბარებას შეძლებს, ბრაიანს ციხიდან გაათავისუფლებენ.

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ადვილი

1	2	9	8	7	3	4	6	5
7	3	4	6	5	9	1	2	8
8	5	6	2	4	1	3	9	7
4	7	5	1	9	2	8	3	6
3	1	8	7	6	5	2	4	9
6	9	2	4	3	8	7	5	1
2	6	3	5	1	7	9	8	4
9	4	1	3	8	6	5	7	2
5	8	7	9	2	4	6	1	3

სტანდარტი

6	3	9	1	2	4	5	8	7
8	5	7	3	9	6	4	2	1
2	4	1	5	8	7	3	6	9
7	2	8	9	5	3	1	4	6
5	1	6	7	4	8	2	9	3
4	9	3	6	1	2	8	7	5
9	8	5	2	7	1	6	3	4
3	7	4	8	6	5	9	1	2
1	6	2	4	3	9	7	5	8

რთული

6	2	5	3	1	9	8	7	4
1	3	4	8	6	7	9	5	2
9	8	7	5	2	4	3	6	1
5	1	6	7	4	3	2	9	8
2	9	8	6	5	1	7	4	3
7	4	3	2	9	8	6	1	5
4	7	2	1	3	6	5	8	9
3	6	9	4	8	5	1	2	7
8	5	1	9	7	2	4	3	6

ექსპერტი

9	2	8	1	7	6	5	4	3
5	4	1	3	2	9	8	7	6
3	7	6	5	8	4	2	1	9
8	5	3	2	4	1	9	6	7
4	6	9	7	5	3	1	2	8
2	1	7	9	6	8	3	5	4
7	3	4	8	1	2	6	9	5
1	9	5	6	3	7	4	8	2
6	8	2	4	9	5	7	3	1

ადვილი

9	2	8	1	4	7	6	3	5
1	7	6	5	3	2	9	8	4
5	4	3	6	9	8	7	2	1
8	6	2	7	5	4	3	1	9
7	3	1	2	6	9	5	4	8
4	5	9	3	8	1	2	7	6
6	1	7	4	2	5	8	9	3
3	9	4	8	7	6	1	5	2
2	8	5	9	1	3	4	6	7

სტანდარტი

7	3	9	4	8	6	2	1	5
2	8	6	7	1	5	9	3	4
5	4	1	2	3	9	8	7	6
8	5	3	6	4	2	7	9	1
1	7	4	5	9	8	3	6	2
6	9	2	1	7	3	5	4	8
3	6	8	9	5	1	4	2	7
4	2	5	3	6	7	1	8	9
9	1	7	8	2	4	6	5	3

რთული

3	8	7	6	5	4	1	9	2
9	1	4	8	3	2	6	7	5
2	6	5	7	1	9	8	4	3
6	7	3	2	4	1	5	8	9
5	4	2	9	8	3	7	6	1
1	9	8	5	7	6	3	2	4
7	5	1	4	9	8	2	3	6
4	3	6	1	2	7	9	5	8
8	2	9	3	6	5	4	1	7

ექსპერტი

7	3	1	6	2	9	5	4	8
5	4	9	8	7	3	6	2	1
2	8	6	1	5	4	3	7	9
9	7	5	4	3	6	8	1	2
6	2	8	5	1	7	9	3	4
4	1	3	2	9	8	7	6	5
3	9	2	7	8	1	4	5	6
1	6	7	9	4	5	2	8	3
8	5	4	3	6	2	1	9	7

მე-10 გვერდი: 1. პარალელეპიპედი; 2. ბაჯაღლო; 3. მარაქა; 4. კათარზისი; 5. ალთაი; 6. ლილეჰამერი; 7. პროთრომბინი; 8. პრაკრიტი; 9. დოდე; 10. ჯავახიშვილი; 11. დუქარდი; 12. სარა; 13. მდაბიო; 14. თამასა; 15. ლეონარდო და ვინჩი; 16. ეფა; 17. აქილია; 18. არქიფო; 19. აბგა; 20. ჰერერა; 21. არზა; 22. ბებია; 23. იმამატი; 24. ავჭალა; 25. ბარიუმი; 26. ავიზო; 27. ოკინავა; 28. აარონი; 29. ტიარა; 30. კავალი; 31. ბია; 32. კუპე; 33. ტიფონი; 34. რივი; 35. იარდი; 36. ნაკიანი; 37. აიოვა; 38. ვასალი; 39. რიფი; 40. აჩუ; 41. ილინჭა; 42. ვატმანი; 43. ვარდო; 44. ნუნა; 45. ოლიმპიადა; 46. ასტონ; 47. ანა; 48. ვარიკაპი; 49. და; 50. ილო; 51. ერინია; 52. ლჰასა; 53. ბასტარდი; 54. ევრიპიდე; 55. ჯერ; 56. „დდტ"; 57. ელდარ.

მე-12 გვერდი: 1. „სანტოსი"; 2. „ბრიტანიკა"; 3. რაქიტი; 4. ტიბეტი; 5. აქსელერაცია; 6. ტერფსიქორა; 7. საკე; 8. ოქტომბერი; 9. ამპლიტუდა; 10. შიბაქი; 11. სიროკო; 12. ორანგუტანგი; 13. აბაკა; 14. ტატო; 15. ბორი; 16. გუშინ; 17. ლასო; 18. ქიმია; 19. „ოტო"; 20 „აივენჰო"; 21. კანო; 22. რუქა; 23. „ორლოვი"; 24. ეტი; 25. ბაზა; 26. გრაცი; 27. ადრიანა ლიმა; 28. უოლესი; 29. ნიტი; 30. რუანი; 31. ბეტონი; 32. ერკემალი; 33. ასტეროიდი; 34. მანჯურია; 35. მარაო; 36. იფი; 37. იორი; 38. ალაზა; 39. როდეო; 40. რა; 41. ტალანტი; 42. ემალი; 43. ინანთი; 44. არაუკარია; 45. უნგარო; 46. ნები; 47. „ლეგია"; 48. კაფე; 49. ბარჯი; 50. არუე; 51. ზმნა; 52. ერატო; 53. საარი; 54. ანი; 55. „მიმინო"; 56. ალი; 57. ნანი; 58. ალური; 59. ლეია; 60. ცუგა; 61. დრიბლინგი; 62. ბილ; 63. ანალგინი; 64. კალა; 65. პაი; 66. მამაი; 67. ბის; 68. ლარი; 69. ტარანტასი; 70. სსრკ; 71. ურო; 72. პრადო; 73. მერაბ; 74. კვამლი; 75. რატინი; 76. ჩაი; 77. კიი; 78. მკერდი; 79. როლი.



1. ბგერის წყვეტილად, მოკლედ გადმოცემა მუსიკაში
2. წყლის საათი
3. მათემატიკური ფუნქცია
4. ღატაკთა უბანი ბრაზილიის ქალაქებში
5. იტალიური ხალხური ცეკვა
6. შენიღბვის ერთ-ერთი სახე
7. უმაღლესი ფიგურა ბანქოში
8.მცენარე, რომლისგანაც ამზადებენ პულკეს
9. მომწიფებული კვერცხუჯრ. გამოსვლა საკვერცხიდან
10. მცენარეთა სამყარო
11. განმეორებითი ჩხვლეტა ფარიკაობაში
12. ბურთის ჩაწოდების ერთ-ერთი ხერხი ჩოგბურთში
13. ზვიადაურის სოფელი
14. მუსიკალური გამის VI ნოტი
15. წყლიანი ადგილი უდაბნოში
16. ძალიან ბრაზიანი, აწრხლი
17.ქორწილის ერთ-ერთი მთავარი მონაწილე
18. საოჯახო ელექტროხელსაწყო
19. მრავალხმიანობა
20.ფრანგი პოეტი „მარსელიეზას“ ავტორი
21. პირის ღრუს ზედა ნაწილი
22. კინის კინოფესტივალის მცენარე
23. ქართული მინერალური წყალი
24. მიცვალებულის დასატრეველი საგალობელი
25.ფასიანი ქაღალდების კურსის აწევა
26. საქართველოს უმაღლესი მწვერვალი
27. შინაური ცხოველი
28. ...-ხანუმი „გამზრდელში“
29. განათებულობის საზომი ერთეული
30. იაპონიის იმპერატორთა სასახლე
31. „საახალწლო ხე“
32.მუჰამედის შობის დღესასწაული ისლამში
33. მოქალაქეობის უფლების ჩამორთმევა ძვ. საბერძ.
34. ამერიკული ავტომარკა
35.ვინმესთან ერთად ერთი ძუძუთი გაზრდილი
36.ელიფსის ბრუნვით მიღებული სხეული
37.მეკვლე ძაღლი „კუჩხი ბედინერში“
38. ადამის და ევას მესამე ვაჟი
39. გაცვეთილი, დაგლეჯილი ტანსაცმელი
40.კანადელი მომღერალი ... ფურტადო
41. ლეო დელიბის საბავშვო ბალეტი
42. ქართული ანბანის ბოლო ასო
43. მუქი წითელი ფერის ძვირფასი ქვა
44.იშვიათი, განუმეორებელი ეგზემპლარი
45. სოფელი წალენჯიხის რაიონში
46.თეთრი ლაქა თვალის გუგაზე
47. ზღვის პატარა ყურე
48. ტექნიკური ზეთი
49. სოფელი გორის რაიონში
50. მიწისქვეშეთის მენავე ბერძნულ მითოლოგიაში
51.ფიზიკოსი ... ბორი
52.მწკლარტე გემოს მქონე
53. განგსტერი ... კაპონე
54. ლითონის ფული თურქეთში
55. ნადირთა დასაჭერი მოწყობილობა
56.გაშლილი მკლავის მოსმით ცურვა
57.სატრფოს ფანჯრის წინ შესასრულებელი სიმღერა
58.იაპონელი მწერალი ქენძაბურო ...
59. ნამი, სისველე
60. პარიზის აეროპორტი
61. ძველებური წონის ერთეული
62. ბერძენი მომღერალი ... რუსოსი
63.ლეგენდ. ეთიოპიელი მარათონელი ... ბიკილა
64. არაბული ფლეიტა
65. უმცირესი სამნიშნა რიცხვი
66. მდინარე ყაზახეთში
67. ხელოვნური საერთაშორისო ენა
68.ქრისტიანობისთვის წამებული არაბი
69. ღვინოში დამბალი პური
70. გურამ ფანჯიკიძის „მეშვიდე ...“
71. ფუტკრის საკვები ფიჭაში
72. მუშაობის ერთეული
73. გერმანიის სამრეწველო რაიონი
74.წვიმაში ჩასაცმელი წყალგაუმტარი სამოსი
75. ღრმა და შეუხორცებელი ჭრილობა
76. რევაზ ინანიშვილის მშობლიური სოფელი
77.კერვის წინმსწრები ქმედება
78. მოწონების გამომხატველი შორისდებული
79. ბუდას დედის სახელი
80. სოფელი ბორჯომის რაიონში
81. რუსი საბჭოთა ილუზიონისტების დინასტია
82. თმის მცენარეული საღებავი
83. სახის მიმიკის მოშლა
84. ქალაქ ტრიპოლის ძველი სახელწოდება
85. ათოსის მსახური

სტრესს პატიმრობით ებრძვიან

ციხის კამერა შესაფერისი ადგილი ნამდვილად არ არის სტრესის მოსახსნელად, თუმცა, სამხრეთ კორეელებს ამის თაობაზე საპირისპირო აზრი აქვთ — სპეციალიზებული დაწესებულება, სახელწოდებით რისონ Iნსიდე ჯე (ციხე ჩემს შიგნით), სადაც ყველა მსურველს, გარკვეულ ფასად შეუძლია თავი პატიმრად იგრძნოს, ქალაქ ხონჩხონის გარეუბანში მდებარეობს. როგორც ციხის ხელმძღვანელი აცხადებს, სტრესთან ბრძოლის არაორდინარული იდეა მას შემდეგ გაუჩნდა, რაც ადვოკატის საქმიანობამ თავისუფალი დრო აღარ დაუტოვა. არ ვიცოდი, როგორ დამესვენა, ვგრძნობდი, საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ ვმუშაობდი და ვერ ვაკონტროლებდი ცხოვრებას, — აცხადებს იგი. 47 წლის კორეელი პენიტენციალურ სისტემაში მომუშავე ახლობელს დაუკავშირდა და სთხოვა, როგორმე ერთი კვირით ციხეში მოხვედრაში დახმარებოდა, ასე მაინც რომ გაქცეოდა რუტინას და სასიცოცხლო ენერგია აღედგინა. ამ საქმეში მეგობარი ვერ დაეხმარა და ადვოკატმა გადაწყვიტა, თავისთვის მიეხედა. გამჭრიახმა იურისტმა შეიმუშავა ციხის პროექტი, სადაც ნებისმიერ ადამიანს რამდენიმე დღის გატარება შეუძლია. შენობის კომპლექსი დაახლოებით 2 მილიარდი ვონი (19 მილიონი დოლარი) დაჯდა. ორდღიანი ანტისტრესული კურსის ღირებულება კი 146 დოლარამდეა. აქ პრაქტიკულად ყველაფერი ისეა, როგორც ნამდვილ ციხეში: სტუმრებს ართმევენ ზედმეტ ნივთებს, მათ შორის წიგნებსა და მობილურს, ყველას ერთნაირ ფორმას აცმევენ და ერთადგილიან კამერაში ათავსებენ. როგორც დაწესებულების ხელმძღვანელი აცხადებს, მისი „ციხე“ საკმაოდ კომფორტულია ნამდვილი საპატიმროსგან განსხვავებით.

სუდოკუ

ადვილი

6		2		9	7			
				6		2		
4		8	1				9	
			5			4	7	
3	7			4			1	9
	4	9			6			
	6				1	3		2
		3		2				
			6	3		9		8

სტანდარტი

2				4				
	9	3	2					
				3		2		8
	7				4	3	6	
		2				1		
	1	8	3				7	
1		5		6				
					1	4	2	
				9				7

რთული

		1	5					
	6	9				8		
8		4		2				
					1			6
3		2		6		4		1
7			9					
				8		9		3
		3				6	2	
					4	5		

ექსპერტი

		5					4	
		7		3				9
2			9		4	3		8
	9							
	5		4		1		9	
							6	
5		4	2		3			6
3				8		1		
	6					8		

მსუქნები უფრო ჭკვიანები არიან

ამერიკელი სწავლულების მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, მსუქანი ქალები ინტელექტის უფრო მაღალი დონით გამოირჩევიან, ვიდრე მოხდენილი სხეულის მქონე სუსტი სქესის წარმომადგენლები. მკვლევართა ექსპერიმენტში მონაწილეობა 15 ათასზე მეტმა მანდილოსანმა მიიღო. აღსანიშნავია, რომ ინტელექტის მაღალი დონე აჩვენეს არა მხოლოდ „ფუმფულა“ ქალებმა, არამედ მათმა შვილებმაც.

ხორცი და ყველი ჯანმრთელობას ვნებს?



ჭარბი რაოდენობით ხორცისა და ყველის მოხმარება საშუალო ასაკის ადამიანის ჯანმრთელობისთვის ისეთივე საფრთხეს წარმოადგენს, როგორც თამბაქოს მოწევა, — აცხადებენ ამერიკელი მკვლევარები. მათ 50 წელს გადაცილებული 1000 ქალისა და მამაკაცის ჯანმრთელობის მდგომარეობა შეისწავლეს და აღმოაჩინეს, რომ, ვინც დიდი რაოდენობით ცხოველურ ცილას იღებს, ნაადრევი სიკვდილის ალბათობა ორჯერ იზრდება. გარდა ამისა, ხორცისა და ყველის მოყვარულებში ოთხჯერ იზრდება კიბოთი გარდაცვალების რისკი, რაც მოწევის მავნებლობას უთანაბრდება. მკვლევართა განცხადებით, ცილა, რომელსაც ხორცი, ყველი, კვერცხი და სხვა ცხოველური წარმოშობის პროდუქტი შეიცავს, ხელს უწყობს სიმსივნის ზრდას და აჩქარებს ორგანიზმის უჯრედების დაბერებას. სწავლულები 50-დან 65 წლამდე ასაკის ადამიანებს ურჩევენ, რაციონში შეამცირონ ცხოველური ცხიმები და ამის ნაცვლად ცილა თევზიდან, ლობიოდან და ოსპიდან მიიღონ.

ყველაზე „მწვანე“ ქვეყნები

სპეციალისტებმა აშშ-დან გამოკვლევა ჩაატარეს და „მწვანე“ ქვეყნების რეიტინგი შეადგინეს, სადაც ეკოლოგიაზე ზრუნავენ. ლიდერთა ჩამონათვალში მოხვდა კანადა, ჩინეთი და ინდოეთი. საუკეთესოთა ათეულში შევიდნენ, ასევე სამხრეთ კორეა, სინგაპური, გერმანია, ფინეთი, ბრაზილია და არაბთა გაერთიანებული საამიროები.

საუზმე სიმსუქნეს აგარიდებთ

ბავშვებს, რომლებიც დილაობით არ საუზმობენ, ზრდასრულობაში მეტაბოლური სინდრომი უყალიბდებათ, — ასეთ დასკვნებს აკეთებენ შვეიცარიელი სწავლულები უმეოს უნივერსიტეტიდან. კვლევა 900 ადამიანზე 30 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. მოხალისეები ექიმებმა ჯერ კიდევ 1981 წელს გამოკითხეს, საუზმობდნენ თუ არა დილით და შემდეგ დაკვირვება განაგრძეს. მონაცემები 2010 წელს კიდევ ერთხელ გადაამოწმეს და აღმოჩნდა, რომ ვინც არ საუზმობდა, 68%-ით მაღალი ჰქონდა მეტაბოლური სინდრომის რისკი. დილით არჭამა სიმსუქნესა და სისხლში შაქრის მაღალ დონეს აყალიბებს.

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

ტელეკომპანია „თრიალეთი“

რეკლამა „თრიალეთზე“
დაგვიკავშირდით


032 239 38 23
599 25 13 31

www.trialeti.ge
trialeti@trialeti.ge

თბილისი:
ნუცუბიძის ქ. N12/1

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, ანი ბეშიტაიშვილი.
სტილისტი: ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.

ჩვენ ვითვლით ადამიანების ნებას

ცესკო
საქართველოს საარჩევნო
ადმინისტრაცია

www.cesko.ge